ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 10 ივნისი 2004 №131 (2150) ფასი 50 თეთრი


# ვინ დაურეკავს იაშვილს: ჰერტა თუ შტუტგარტი?



გერმანული სააგენტოები იუწყებიან: „ფრაიბურგის" ქართველი თავდამსხმელი ალექსანდრე იაშვილი ახალი სეზონიდან ან „შტუტგარტში", ანაც ბერლინის „ჰერტაში" ითამაშებს.

ბუნდესლიგის ეს ორი გუნდი ჩვენიანი ფორვარდის გადაბირებით სერიოზულადაა დაინტერესებული და „ფრაიბურგს" იმ კონკრეტული სატრანსფერო თანხის დასახელებას სთხოვს, რომელიც ფრაიბურგელებს ჯერაც ვერ დაუდგენიათ.

საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელს ერთი-ორი თვის წინ „დორტმუნდი" ეპატიჟებოდა, თუმცა მწვრთნელის შეცვლამ „დორტმუნდ"-იაშვილის სატრანსფერო პერსპექტივა, ცოტა არ იყოს, გაანელა. სამაგიეროდ, ჩვენიანის გადაბირების სურვილი გაუჩნდა „შტუტგარტს", სადაც მწვრთნელად „დორტმუნდის" ყოფილი დამრიგებელი მათიას ზამერი დაინიშნა.

ყოველივე ამის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ: ალექსანდრე იაშვილი მათიას ზამერის სასურველი ფეხბურთელია. თუმც აქვე დავძინოთ, რომ იაშვილი ბერლინის „ჰერტას" ინტერესის არეშია და ნუ გამორიცხავთ, ორ-სამ დღეში დაიწეროს კიდეც — იაშვილი „ჰერტაში"! ყოველ შემთხვევაში, გერმანიაში ასე ამბობენ და ეს უკვე ძალიანაც ანგარიშგასაწევი ამბავია.

კობა ინასარიძე

## EURO 2004 PORTUGAL



# მსაჯების ფული გადათვლილია

თუ იტალიის ნაკრებმა არ შეუშალა ხელი და უეფამაც ინება, პიერლუიჯი კოლინა, სულ მცირე, 30 ათასი შვეიცარიული ფრანკით გამდიდრდება. მას და კიდევ 11 არბიტრს კი 20-20 ათასი განაღდებული აქვთ. საქმე ისაა, რომ ევროჩემპიონატის მთავარ მსაჯთა უეფასეული გასამრჯელო 10 ათასია, უეფას მიერვე შერჩეულ 12 არბიტრს კი 2-2 ჯგუფური მატჩის გაძღოლა მოუწევს. მერე კი... თუ იტალიამ ფინალს ვერ უწია, კოლინას ეგებ მთავარი მატჩის არბიტრობაც ანდონ.

# ბრაიანტმა დეტროიტი აწამა

NBA



გუშინწინ ლოს ანჯელესში ნბა-ს პლეი ოფის ფინალი თავიდან დაიწყო. არადა, შეიძლებოდა, დამთავრებულიყო კიდეც. გეცოდინებათ, „დეტროიტმა" პირველი ლოსანჯელესური თამაში მოიგო და მეორესაც იგებდა — ბოლო წუთზე 6 ქულით იყო წინ — და რომ მოეგო, ამ ჩვენი „ჰოლივუდ-ლეიკერსის" საქმე წასული იქნებოდა. მომდევნო სამ თამაშს ხომ დეტროიტი მასპინძლობს.

მაგრამ „დეტროიტს" ვერც გამარჯვება მიერთვა, ვერც ჩემპიონობა და კიდევ ბევრი ოფლის ღვრა მოუწევს. შაკილ ონილმა და კობი ბრაიანტმა ბოლო წამებში 3-3 ქულით დაასპონსორეს „ლეიკერსი". ბრაიანტმა დროის ამოწურვამდე 2 წამით ადრე ჩააგდო ზღაპრული სამქულიანი და ანგარიშის 89:89 გათანაბრების შემდეგ მასპინძლები ოვერტაიმში სასტიკად გაუსწორდნენ ნირწამხდარ მეტოქეს. კობიმ კი ნამატჩევს თქვა, შესაძლოა, ეს იყო უმნიშვნელოვანესი სროლა ჩემს კარიერაში.

შესაძლოა, ასეც არის, იქნებ არც, მაგრამ კობიც და „ლეიკერსიც" ალბათ კიდევ ბევრს გაისვრიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ელდარ გვასალია და პეტრე დანელია



გამდი კოიილაძის ფოტოები

# უვერდიქტო სხდომა მოითხოვს: ფირი ფირალების დასასჯელად

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 30 მაისს გამართულ „ოქროს მატჩზე“ ადრე იმსჯელა და ბოლნისის „სიონს“ ვერდიქტიც გამოუტანა — მოკვეთა უეფას თასის დამდევი გათამაშებიდან და 10 ათასი ლარით დააჯარიმა. გუშინ კი სადისციპლინო კომიტეტის სხდომა შედგა სპორტის აკადემიის რექტორის კაბინეტში, რადგან „სიონის“ გარდა დასასჯელია ამ გუნდის და „ვიტ ჯორჯიას“ ცალკეული ფეხბურთელებიც.*

სადისციპლინო კომიტეტი პროფესიულ ლიგასაც ჰყავს, რომელსაც *ზვიად დარასელი* ხელმძღვანელობს, მაგრამ რადგან „ოქროს მატჩში“ ძალიან სერიოზული, საქვეყნოდ გახმაურებული ექსცესები მოხდა, საქმე ფედერაციის მიერ შექმნილ, მრავლისმნახველ და მრავლისგანმსჯელ სადისციპლინო კომიტეტს გადაეცა.

სხდომას კომიტეტის წევრების და ჟურნალისტების გარდა „სიონის“ ორი წარმომადგენელიც დაესწრო — ტექნიკური დირექტორი პეტრე დანელია და ფეხბურთელი ელდარ გვასალია.

თავიდანვე ვიტყვით, რომ დისციპლინარებმა ვერდიქტები ვერ გამოიტანეს, სხდომა პარასკევისთვის გადაიდო.

საქმე კი ასე იყო. სხდომის თავმჯდომარე *გურამ ძაგანიამ* „ვიტ ჯორჯია“ — „სიონის“ საჩემპიონო მატჩის ინსპექტორის და დირექტორის პატაკები წაიკითხა და შემდეგ კომიტეტის წევრებს აზრის გამოთქმა სთხოვა. გამომსვლელები ძალიან ემოციურად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას მატჩზე მომხდარი ინციდენტის გამო.

კომისიის წევრების სიტყვა-პასუხში ეს პათოსი იგრძნობოდა — „სიონი“ იჩაგრება, ყველაფერი „სიონს“ არ უნდა დაბრალდეს, რაც მოხდა, ვიტჯორჯიელი რევაზ გოცირიძის ჟესტის ბრალია, არბიტრს „ვიტ ჯორჯიას“ მეორე გოლი იმიტომ არ უნდა ჩაეთვალა, რომ ვითარება დაძაბული იყო...

კომისიის ერთ-ერთმა წევრმა *ზურაბ პეტრიაშვილმა* ყურადღება იმაზე გაამახვილა, რომ ამ მატჩის არბიტრ ალექსანდრე კრიჭაშვილს მანამდე ორწლიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა და რატომ დაინიშნა ის ასეთი რანგის შეხვედრაზე. კომისიის კიდევ ერთმა წევრმა *რევაზ ჩილაჩავამ* კი იკითხა, ნაცემ მსაჯებს მატჩი რატომ ჩაამთავრებინესო. სიტყვა ითხოვა კომისიის კოლორიტულმა წევრმა *გოგი დემეტრაძემ* — ქართული ფეხბურთი საზიზღრობაში გადაიზარდა, ქვეყნის პრეზიდენტს ვთხოვ, მეტი ყურადღება მიაქციოს ფეხბურთს, ქვემო ქართლის რეგიონს კი შეურაცხყოფას ნუ მივაყენებთ — ასეთი იყო დემეტრაძის გამოსვლა.

კომისიის წევრებმა სიონელებსაც მოუსმინეს.

*პეტრე დანელია:* მთელ საქართველოს ბოდიშს ვუხდით ჩვენი გულშემატკივრების საქციელის გამო. ფედერაციის ვერდიქტის შედეგად „სიონის“ სპონსორებმა უარი თქვეს გუნდის დაფინანსებაზე. საქმეს ისეთი პირი უჩანს, „სიონი“ ჯერ უმაღლესი ლიგიდან გავარდება, მერე კი ალბათ პირველი ლიგიდანაც.

*ელდარ გვასალია:* მსაჯებთან არანაირი კონფლიქტი არ მქონია. პატაკში რომ წერია, გვასალია მსაჯებს გასახდელთან დაეწია და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენაო, ტყუილია, ეგეთი რამ არ მომხდარა. მაჩვენეთ მაგ პატაკის დამწერი და პირზე დავადგები...

სად არიან მსაჯები, რატომ არ მოვიდნენ აქ? იკითხეს კომისიის წევრებმა და კამათი გააგრძელეს. თუმც ზვიად დარასელმა და გურამ ძაგანიამ კომისიის დანარჩენ წევრებს განაჩენზე აზრის გამოთქმა სთხოვეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ მათგანს „ოქროს მატჩზე“ მომხდარი ინციდენტები ნანახი არ ჰქონდა და შეხვედრის ფირი მოითხოვეს. ვიდეოჩანაწერი კი სხდომაზე არ იყო და სადისციპლინო კომიტეტმაც ვერდიქტი ვერ გამოიტანა — საგანაჩენო სხდომა ალბათ ხვალ გაიმართება.

მოკლედ, ვიტჯორჯიელი რევაზ გოცირიძე, მსაჯების ცემაში ბრალდებულნი ელდარ გვასალია და „სიონის“ მწვრთნელი გიორგი ყიფშიძე, მატჩის თვითნებურად მიმტოვებელი სიონელი შალვა ისიანი, არბიტრ ალექსანდრე კრიჭაშვილისთვის ბურთის დამმიზნებელი სიონელი აქვსენტი გილაური ჯერჯერობით უვერდიქტოდ არიან.

**დავით თავართქილაძე**

# 102 საქართველო სამარცხვინო ასორტიმენტში

გნებავთ, ერიჰა იძახეთ, გნებავთ, ფრჩხილები იკვნიტეთ, მხრები აიჩეჩეთ, იგინეთ, ილანძღეთ და, მოგვიტევეთ და, გნებავთ, ფეხებზე დაიკიდეთ — ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში საქართველო 102-ე ადგილზეა. საქართველო პირველ ასეულს მიღმა აქამდე არასდროს ჩავარდნილა და აგერ, ინებეთ... ჩვენ ზევით კი ზოგი ისეთი ქვეყანაცაა, ბევრს საერთოდ რომ არ სმენია. მალავი, უგანდა, რუანდა, ტოგო...

და გიკვირთ? წლების მანძილზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იღებდა გადაწყვეტილებებს, დგამდა ნაბიჯებს, რომელთა არსში ჩაწვდომა მოკვდავთა გონებას არ შეეძლო. მათ კი, უკვდავ ფედერაციებს დღემდე ჰგონიათ, რომ სწორად მუშაობენ.

გიკვირთ? ჩვენ არ გვიკვირს!

## FIFA WORLD RANKING

| I | II | III | IV | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 842 | 15 | 14 | დანია | 696 |
| 2 | 2 | საფრანგეთი | 812 | 16 | 16 | ნიგერია | 691 |
| | | | | 17 | 17 | ბელგია | 670 |
| 3 | 3 | ესპანეთი | 785 | 18 | 21 | შვედეთი | 667 |
| 4 | 6 | მექსიკა | 735 | 19 | 18 | ირანი | 663 |
| 5 | 5 | არგენტინა | 733 | 20 | 25 | ხორვატია | 662 |
| 5 | 4 | ჰოლანდია | 733 | 20 | 19 | სამხრეთ კორეა | 662 |
| 5 | 7 | თურქეთი | 733 | 35 | 35 | საბერძნეთი | 627 |
| 8 | 9 | გერმანია | 726 | 71 | 65 | უკრაინა | 523 |
| 9 | 8 | აშშ | 724 | | | | |
| 10 | 11 | იტალია | 723 | 91 | 91 | ალბანეთი | 481 |
| 11 | 10 | ჩეხეთი | 719 | | | | |
| 12 | 12 | კამერუნი | 717 | 102 | 99 | საქართველო | 445 |
| 13 | 12 | ინგლისი | 711 | | | | |
| 14 | 15 | ირლანდია | 705 | 140 | 136 | ყაზახეთი | 317 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

## შვედეთი

**სუპერეტა. IX ტური**

ბოდენსი 1:1 ფრისკა
კაფე ოპერა 3:1 ბრომაპოიკარნა
ფალკენბერგი 0:3 იოსტერსი
გაის 2:0 ატვიდაბერგი
გეფლე 2:0 ბრაგე
ნორჩიოპინგი 4:0 ასირისკა
ვასტერასი 2:2 ენჩიოპინგი

## ნორვეგია

**ტიპელიგა. X ტური**

რუსენბორგი 3:0 ბოდიო გლიმტი

**თასის 1/16 ფინალი**

*მოსი* 1:1დ.დ.(პენ.5:3, 1:1) ფრედრიკსტადი
*ბაკრუმი* 3:2 ვოლერენგა
*ბრანი* 6:0 ჰიოდი
*ჰამ კამი* 4:3დ.დ.(2:2) სკეიდი
*ჰაუგესუნდი* 5:3დ.დ.(3:3) ოდ გრენლანდი
*კონგსვინგერი* 2:2დ.დ.(პენ.3:0, 2:2) ალესუნდი
*ლინი* 3:2 ფრიგი
მო 0:2 *ტრომსიო*
მიოლდე 1:2დ.დ.(1:1) *ვარდ ჰაუგესუნდი*
*სანდეფიორდი* 1:1დ.დ.(პენ.5:4, 0:0) სტარტი
სოგნდალი 1:2 *მანდალი*
ვიკინგი 1:2 *ბრინი*

## ისლანდია

**პრემიერდივიზიონი V ტური**

რეიკიავიკი 1:0 აკრანესი

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მტაპი. აზია

**მესამე ტური**

**I ჯგუფი**

ირანი 0:1 იორდანია
ყატარი 5:0 ლაოსი

**II ჯგუფი**

უზბეკეთი 3:0 პალესტინა
ერაყი 6:1 ტაივანი

**III ჯგუფი**

იაპონია 7:0 ინდოეთი
ომანი 7:0 სინგაპური

**IV ჯგუფი**

ჩინეთი 4:0 მალაიზია
ქუვეითი 4:0 ჰონკონგი

**V ჯგუფი**

საამიროები 3:0 იემენი
ტაილანდი 1:4 ჩრდ. კორეა

**VI ჯგუფი**

ბაჰრეინი 5:0 ყირგიზეთი
სირია — ტაჯიკეთი *3:1-ზე ჩაიშალა*

**VII ჯგუფი**

სამხ. კორეა 2:0 ვიეტნამი
ლიბანი 3:0 მალდივი

**VIII ჯგუფი**

საუდეთი 3:0 თურქმენეთი
ინდონეზია 1:0 შრი ლანკა

რეკლამა სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ან ჰო, ან არა

დინამო /თბილისი/ 1
ვიტ-ჯორჯია /თბილისი/ 3

## ვიტ ჯორჯიასთან დამარცხებული „დინამო" რევანშს ტრანსფერებით აპირებს

*სკანდალის სუნი ტრიალებს საქართველოს ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიაში". საქმე სატრანსფერო ამბებს ეხება, უფრო ზუსტად, ვეტერინართა ორი ფეხბურთელის, ლაშა ნოზაძისა და გიორგი ადამიას თბილისის „დინამოში" გადასვლა-არგადასვლას*

„დინამო" „ვიტ ჯორჯიას" სამი ფეხბურთელით — მელქაძე, ნოზაძე, მერლანი — ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დაინტერესდა. დინამოელთა მაშინდელ მწვრთნელს ივო შუშაკს ამ ფეხბურთელთა გადაბირება ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის წინ სურდა. შუშაკს ამ სამი ფეხბურთელიდან იმხანად მეტი აქცენტი მელქაძეზე ჰქონდა — ევროსარბიელზე მოთამაშე „დინამოს" თავდამსხმელი სჭირდებოდა. შარშან სწორედ ეს დრო იყო, როცა შუშაკმა წადილი აისრულა, მას მელქაძე პირდაპირ გერმანიაში ჩაუყვანეს, სადაც გუნდი ემზადებოდა. მაშინ გავრცელებული ინფორმაციით, ფეხბურთელის სანაცვლოდ „დინამომ" „ვიტ ჯორჯიას" 300 ათასი დოლარი გადაუხადა. მელქაძე დინამოელი გახდა და დღემდე ამ კლუბშია, ნოზაძისა და მერლანის გადაბირება კი შუშაკის „დინამომ" ვერ შეძლო, მაშინ მთავარი მელქაძე იყო.

შარშანდელი ევროტურნირი „დინამოსთვის" როგორც დამთავრდა, კარგად გეხსომებათ, ჩვენი ჩემპიონები ალბანურ „ტირანასთან" დამარცხდნენ.

დაიწყო შინაური ჩემპიონატი და „დინამოს" მწვრთნელს „ვიტ ჯორჯიაში" „დატოვებული" ნოზაძე და მერლანი გაახსენდა. ამჯერად აქცენტი ნოზაძეზე იყო. შუშაკმა ეს ფეხბურთელი შინ მიიპატიჟა და სამომავლო ამბებზე ესაუბრა. ნოზაძეს „ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტი აგვისტომდე ჰქონდა და ამის გათვალისწინებით ფეხბურთელსა და „დინამოს", ან შუშაკს შორის ასეთი შეთანხმება შედგა: სეზონის მერე, ანუ კონტრაქტის გასრულების შემდეგ ნოზაძე „დინამოში" ითამაშებდა. ასე დაშორდნენ კლუბი და ფეხბურთელი ერთმანეთს და როგორც ვიცით, ეს ამბავი „ვიტ ჯორჯიას" ყურამდეც იყო მისული.

ჩემპიონატი დაიწყო და დამთავრდა. „დინამოდან" შუშაკი დაითხოვეს. თუმც კლუბისთვის სასურველ ფეხბურთელთა სიაში ნოზაძის გვარი დარჩა. ეს ფეხბურთელი ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეულია და გასაკვირი არ არის, შუშაკის მემკვიდრე გია გეგუჩაძემაც რომ ისურვა მისი სამსახური. თან ერთი გვარიც დაამატა — ადამია, რომელსაც წლეულს ასევე წარმატებული სეზონი ჰქონდა. მერლანზე კი ლაპარაკი შეწყდა...

მოკლედ, ლაშა ნოზაძემ და გიორგი ადამიამ „დინამო" დააინტერესს.

„დინამოს" ტექნიკური დირექტორი *კახა ჭუმბურიძე*: ჩვენ ამ ფეხბურთელების მოწვევა გვსურს და როგორც წესი და რიგია, საქმეს ისე შევუდექით. პირადად შევხვდი „ვიტ ჯორჯიას" წარმომადგენელს მალხაზ კაკაურიძეს და ვკითხე, ნოზაძისა და ადამიას გადაბირებით ვართ დაინტერესებულები და ამ საკითხზე ვის მივმართოთ-მეთქი. კაკაურიძემ დავით სამუშიასკენ მიგვითითა.

თავის მხრივ, „ვიტ ჯორჯია" „დინამოს" არაკორექტულობაზე ალაპარაკდა. ვეტერინარები ამბობენ, ფეხბურთელებთან მოლაპარაკება „დინამოს" ჩვენგან ფარულად ჰქონდაო.

მოგვიანებით „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელები ერთმანეთს მაინც შეხვდნენ. „ვიტ ჯორჯია" წინააღმდეგი არ არის, ეს ფეხბურთელები „დინამოს" კონტრაქტის გასრულებამდე, ანუ 1 აგვისტომდე დაუთმოს, ოღონდ... ოღონდ, „ვიტ ჯორჯიამ" ნოზაძისა და ადამიას სანაცვლოდ ფული მოითხოვა. ვეტერინართა დასახელებული თანხა „დინამოს" ეძვირა და მაშინ ფეხბურთელებს შეუთანხმდა, თვენახევარიც მოვითმინოთ, „ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტი დაგიმთავრდებათ და აგვისტოდან ჩვენთან იქნებითო.

... ან იქნებიან, ან არა — „ვიტ ჯორჯიაში" სხვანაირად ფიქრობენ. ნოზაძისა და ადამიას კონტრაქტები კონტრაქტებად და, თურმე სწორედ ამ კონტრაქტებში არის ისეთი პუნქტები, რომელთა თანახმად ეს ფეხბურთელები „ვიტ ჯორჯიას" მთლად უკაპიკოდ ვერ დატოვებენ, თანაც „ვიტ ჯორჯიას" ზოგადი სატრანსფერო წეს-კანონები უმაგრებს ზურგს.

„დინამო" კი ნოზაძისა და ადამიას გადაბირების იმედს მაინც არ კარგავს. ყველაზე მთავარი კი, რაც არ გვითქვამს, ესაა: თავად ფეხბურთელებსაც სურთ „დინამოში" თამაში.

და ერთი საინტერესო ამბავიც: კულუარული ინფორმაციით, „ვიტ ჯორჯიამ" ნოზაძისა და ადამიას სანაცვლოდ „დინამოსგან" 250 ათასი დოლარი მოითხოვა.

**ქობა ინასარიძე**



*„ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელებს რომ თვალი სხვა კლუბებმა დაადგეს, ამის შესახებ უკვე გაუწყეთ, თუმც ქართული ტრადიციისამებრ, როგორც ჩანს, კიდევ ერთი (უფრო სწორად, ორი) ტრანსფერი შეიძლება ახალი სკანდალის საბაბად იქცეს. ლაპარაკია ჯერ კიდევ „ვიტ ჯორჯიას" საკუთრებაში მყოფ ორ ფეხბურთელზე, ლაშა ნოზაძესა და გიორგი ადამიაზე. ეს ფეხბურთელები თბილისის „დინამომ" მოისურვა, მაგრამ... „ვიტ ჯორჯიას" მხრიდან ახალი არგუმენტები გაჩნდა, ფეხბურთელებს ჩვენს ზურგს უკან ელაპარაკებიან, ვერც პირველ ი აგვისტოს შემდეგ მიიღებენ მათ კომპენსაციის გარეშეო და მისთანანი. „დინამოს" კი ვეტერინართა დასახელებული თანხა ებევრება და უარობს. ისმის კითხვა, ეროვნულ ჩემპიონატში გამორჩეული ორი ფეხბურთელი რაიმე წინააღმდეგობებს ხომ არ წააწყდება. გუშინ ლაშა ნოზაძეს შევეხმიანეთ...*

# ლაშა ნოზაძე: ჩემი კონტრაქტი სუფთაა

## შუშაკის დაწყებულს გეგუჩაძე ამთავრებს

**— ლაშა, არის თუ არა შენს კონტრაქტში ის პუნქტი, რომლის თანახმადაც „ვიტ ჯორჯიას" პირველი აგვისტოს მერე, ანუ კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ უკომპენსაციოდ ვერ დატოვებ?**

— ჩემთვის ასეთი პუნქტის არსებობის შესახებ არაფერია ცნობილი. ვისაც კონტრაქტი ვაჩვენე, ყველამ დამიდასტურა, რომ ის უეფას ყველა კანონ-მოთხოვნას პასუხობს.

**— კონტრაქტს ხელი იურისტის თანხლებით მოეწერა?**

— ხელმოწერას იურისტი არ დასწრებია, მაგრამ შემდეგ მათაც ვაჩვენე და ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოსო. ასევე მითხრეს ფედერაციაში. ასე რომ, კონტრაქტში რაიმე ჩემი შემაფერხებლის არსებობას გამოვრიცხავ.

**— თუმცა ის ფაქტია, რომ ამ გარჩევებმა შეიძლება შენს ფორმაზეც იმოქმედოს. ბოლოს და ბოლოს, „დინამოს" თუ შეკრებაზე ვერ გაჰყვები და „ვიტ ჯორჯიასთან" ერთადაც ვერ ივარჯიშებ, შეიძლება ასეც მოხდეს...**

— მე ჩემი თავის იმედი მაქვს, ინდივიდუალური პროგრამით ვივარჯიშებ. ფორმიდან ისე ნაღდად არ ამოვვარდები, რომ შემდეგ სათადარიგოთა სკამზე ჯდომამ მომიწიოს.

**— „ვიტ ჯორჯიამ" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე დახმარება რომ გთხოვოს?**

— ორი აზრი არაა, დავეხმარები, თანაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პირველ აგვისტომდე მაინც მათ ვეკუთვნი. უბრალოდ, მე კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ უკეთესი პირობების შექმნაზე ვზრუნავდი.

**— შენით გეგუჩაძემდე ივო შუშაკი იყო დაინტერესებული და მას შეხვდი კიდეც...**

— ჩემით შუშაკი მართლაც იყო დაინტერესებული და მას მართლაც შევხვდი. ყველაფერი ძალიან ნორმალურად წარიმართა, მაგრამ საბოლოოდ ეს ტრანსფერი აღარ შედგა.

**— რატომ, „ვიტ ჯორჯიამ" დიდი თანხა მოითხოვა?**

— ალბათ. როგორც გავიგე, „დინამოს" ახლაც ებევრება სატრანსფერო თანხა. მაშინ კი თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და თუ რამე ამ საქმეს შეაფერხებდა, ეს არარეალური სატრანსფერო ფასი იქნებოდა.

**დავით ერაძე**



# დემეტრ დაიგვიანა

## ფრანგული სასწაული

მართლაც სასწაულმოქმედი ყოფილა თანამედროვე ევროპული მედიცინა. ალანიელი ქართველები, ვიტალი დარასელია და ლევან გვაზავა რუსეთში თითქმის ყველა წარჩინებულ კლინიკაში ჰყავდათ, ცნობილი ექიმები შემოატარეს, მაგრამ რად გინდა?! მკურნალობას ვინ ჩივის, დიაგნოზის დასმაც ვერ მოხერხდა. „ალანიას" მთავარ მწვრთნელ როლან კურბისის სიტყვები, საფრანგეთში ჩვენი ექიმები ერთ კვირაში ფეხზე დაგაყენებენო, მაშინ ცოტა გადაჭარბებულადაც ჩანდა, თუმც გუშინ ფრანგულ შეკრებაზე ვიტალის რომ შევეხმიანეთ, მისმა პასუხმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

— კარგად ვართ, ნეტავ, აქამდე ჩამოვსულიყავით საფრანგეთში. ექიმების აღარ მჯეროდა და ფეხს ვითრევდი. თურმე რა შორს წასულა თანამედროვე მედიცინა. აქ ალბათ არანაირი ტრავმის შიში არა აქვთ.

**— ისე ლაპარაკობ, თითქოს უკვე სრულად განიკურნე...**

— ეგრე გამოდის. ხუთი დღეა, აქ ვარ და მეორედ ვივარჯიშე. არადა, მინიმუმ ათდღიან კურსს მაინც ველოდი.

**— ვარჯიშს რას ეძახი, ძუნძულებ თუ...**

— ჩვეულებრივად, ბურთით ვვარჯიშობ. მართალია, ნატკენ ფეხს მაინც ვზოგავ, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში მყოფისთვის ასე უცბად ვარჯიში ბევრს ნიშნავს. სამ-ოთხ დღეში კი სრული დატვირთვით შევუდგები ვარჯიშს.

**— გვაზავა როგორღაა, მას უფრო მძიმე ტრავმა ჰქონდა...**

— არ დაიჯერებ და, ლევანიც ვარჯიშობს. მართალია, ბურთით არა, მაგრამ ამას ახლა ვინ ჩივის. ის ალბათ ათ დღეში შემოუერთდება ძირითად გუნდს და დატვირთვებსაც ამის მერე გაუზრდიან.

**— საკლუბო სიახლეებზეც გკითხავ. ლაპარაკია, რომ დღედღეზე დემეტრაძეც შემოგიერთდებათ...**

— გავიგე ეგ ამბავი და ძალიან გამიხარდა. ჯერ კიდევ აქ წამოსვლამდე ვიცოდი, რომ დემეს ეპატიჟებოდნენ და ვთქვი კიდეც, დემეს თუ ჩამოიყვანენ, მოსკოვის „დინამოში" წამსვლელი აღარ ვარმეთქი.

**— დემეტრაძეს საფრანგეთშივე ელიან?**

— საერთოდ, მისი ტრანსფერის საკითხს უკვე გადაწყვეტილ ამბად მიიჩნევენ, მაგრამ დემეს ჩამოსვლა ჭიანურდება. ახლა გავიგე, რომ ერთ კვირაში აუცილებლად ჩამოვა.

**დავით ერაძე**

# ახლო კუთხე ყოველთვის მეკარისაა



## პორტუგალია ინგლისის ან ჰოლანდიისაა

*თბილისის „სპარტაკი" უმაღლესი ლიგიდან კი გავარდა, მაგრამ მისი რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დამდეგი სეზონიდან მაინც უმაღლეს ლიგაში ითამაშებს. გასულ სეზონში „სპარტაკის" ლიდერი და მეკარე აკაკი დევაძე „ბათუმში" გააგრძელებს თამაშს, თუმც მანამდე „თბილისი" და უეფას თასის საკვალიფიკაციო რაუნდი ელის*

— „თბილისს" უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე დავეხმარები, ორ მატჩს ვითამაშებ და მერე „ბათუმში" წავალ.

**— თუ „თბილისმა" პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი გაიარა, მერე მაინც წამოხვალ იქიდან?**

— არ ვიცი, ასეთ შემთხვევაში ყველაფერი „თბილისის" და „ბათუმის" მოლაპარაკებაზე იქნება დამოკიდებული.

**— „სპარტაკიდან" „ბათუმში" მხოლოდ იმიტომ გადადიხარ, რომ უმაღლეს ლიგაში გინდა თამაში?**

— არა მხოლოდ ამიტომ — ბათუმელები კარგი გუნდის გაკეთებას აპირებენ, რომელმაც უეფას თასის საგზური უნდა მოიპოვოს და როცა „ბათუმში" გადასვლა შემომთავაზეს, წამითაც არ დავფიქრებულვარ. თანაც ეროვნულ ნაკრებშიც მსურს თამაში და პირველი ლიგიდან ამის შანსი ალბათ არ მექნებოდა.

**— ფეხბურთელობას დაახლოებით ორნახევარწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდი — ახლა უფრო რთულია საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თამაში თუ უწინ?**

— ვფიქრობ, ბევრი არაფერი შეცვლილა. მე დიდ ძალას და ენერგიას ვგრძნობდი ჩემში და ამიტომ დავბრუნდი ფეხბურთში. „სპარტაკში" მაშინ მივედი, როცა მას მურთაზ ხურცილავა წვრთნიდა და ხურცილავამ მართლაც ფეხზე დამაყენა. ახლა ნაკრების წევრადაც კი ვითვლები.

**— რომელი ფეხბურთელები მოგეწონა გასულ ჩემპიონატში?**

— სპარტაკელები ირაკლი სამხარაძე, თენგიზ ჩიკვილაძე და „ვიტ ჯორჯიას" წინა ხაზი — ოთარ მარცვალაძე, გიორგი ადამია და რევაზ გოცირიძე, თუმც მათგან ერთი მაინც უნდა გამოვარჩიო — მარცვალაძე.

**— რატომ ვერ იკიდებენ ფეხს ქართველი მეკარეები უცხოეთის წარმატებულ საფეხბურთო ქვეყნებში? ქართული სამეკარეო სკოლა ძალიან სუსტად მიგაჩნია?**

— საქმე ისაა, რომ ქართული ფეხბურთის რეიტინგი ახლა დაბალია და ჩვენს მეკარეებზეც მოთხოვნილება არაა. არის სხვა ფაქტორიც. ისრაელში ოთხი წელი ვითამაშე და ჩემგან სულ თამაშების მოგებას ითხოვდნენ. რახან ლეგიონერი მეკარე იყავი, წაგებაც და მოგებაც შენს კისერზე გადადიოდა. ასეთ სიტუაციაში ძალიან ძნელია უცხოეთში ფეხის მოკიდება.

**— კიდევ რამდენ ხანს აპირებ კარში დგომას?**

— 32 წლის ვარ, მაგრამ ნებისმიერი დატვირთვებისა და მოთხოვნებისთვის აბსოლუტურად მზად ვარ. თუ ტრავმებმა ხელი არ შემიშალა, კიდევ ხუთ წელიწადს ვითამაშებ.

**— ნაკრების წარუმატებლობებს ერთ ფეხბურთელს ვერავინ დააბრალებს, მაგრამ იყო ერთი მატჩი, როცა ყველაფერი, ფაქტობრივად, აკაკი დევაძეს დაბრალდა — 1995 წელს გერმანიასთან 1:4 წავაგეთ...**

— ჩემი სანაკრებო კარიერაც მაშინ შეწყდა. გერმანიასთან ამ მარცხის შემდეგ მწვრთნელმა მხოლოდ ერთხელ მომცა ნაკრებში თამაშის შანსი და რუმინეთთან ამხანაგურ შეხვედრაში 0:5 წავაგეთ. გერმანიასთან კი ახლო კუთხეში გავუშვი ბურთი და როცა ასე ხდება, დამნაშავე ყოველთვის მეკარეა. 1:0 ვიგებდით და ყველაფერი ეს მაშინ მოხდა — პოზიციური შეცდომა კი დავუშვი, მაგრამ გოლი მაინც უფრო ანდრეას მიოლერის ოსტატობის შედეგი იყო, ვიდრე ჩემი შეცდომის — მიოლერმა შეცდომაზე ძალიან კარგად გამომიჭირა.

**— სადაცაა ევროპის ჩემპიონატი დაიწყება — რომელ მეკარეს გულშემატკივრობ?**

— ძალიან მომწონს ვიტორ ბაია, კიდევ ვან დერ სარი და ჯანლუიჯი ბუფონი, ვისაც მთლად კარგი სეზონი არ ჰქონდა, მაგრამ პორტუგალიაში ალბათ იტყვის თავის სიტყვას, ჩემპიონობის საუკეთესო შანსი კი, ვფიქრობ, ჰოლანდიას ან ინგლისს აქვთ.

**დავით თაგართქილაძე**



# თაბაშირის იმედი

## კორდალიძე ელის, კორდალიძეს ელიან

ლატვიურ ჩემპიონატში შესვენებაა. ნაკრები ევროპის ჩემპიონატზეა, კლუბები კი 4 ივლისამდე იუქმებენ. ქართველების „სკონტოში" ორკვირიანი შვებულება დამთავრდა და დღეს თბილისიდან რიგაში ჩავლენ გიორგი ყიფიანი და ზურაბ მენთეშაშვილი, ხვალ კი „სკონტო" შეკრებაზე გადადის.

საწვრთნელ პროცესს გამოაკლდება გუნდის მესამე ქართველი ლევან კორლალიძე, რომელიც ლობანოვსკის ხსოვნის ტურნირზე ისე დაშავდა, საოპერაციო გახდა და უკვე სამი კვირაა, ფეხი თაბაშირში აქვს.

— გაწამებული ვარ ამ თაბაშირის გადამკიდე. ხელჯოხებით სიარულსაც ვერ შევეჩვიე. თბილისში მინდოდა ჩამოსვლა, მაგრამ თაბაშირიანი ფეხით მგზავრობას მოვერიდე და უსაქმურობისაგან აღარ ვიცი, რა ვქნა — შემოგვჩივლა ლევანმა, გუშინ რომ შევეხმიანეთ.

ლევანს ორი კვირის შემდეგ მოხსნიან თაბაშირს. ცოტა ხნის შემდეგ მსუბუქად ვარჯიშის უფლებას მისცემენ, მოედანს კი საუკეთესო შემთხვევაში აგვისტოს ბოლოს დაუბრუნდება.

— ფიქრიც კი არ მინდა იმაზე, რომ კიდევ სამი თვე ვერ ვითამაშებ, კიდევ კარგი, ჩემი ტრავმა ლატვიურ ჩემპიონატში თვენახევრიან შესვენებას დაემთხვა, ესეც შეღავათია, მაგრამ ის მაფიქრებს, , რომ შესაძლოა, ამ ტრავმამ კარიერა შემიფერხოს.

**— გამოჯანმრთელების იმედი არ გაქვს?**

— არა, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, ტკივილი არ მაწუხებს და ექიმებიც ასპროცენტიან გამოჯანმრთელებას მპირდებიან. საქმე ის არის, რომ ტრავმის მიღებამდე ცოტა ხნით ადრე ძალზე ხელსაყრელი წინადადება მივიღე ერთ-ერთი უცხოური გუნდიდან...

**— რა გუნდია?**

— ვერ დავაკონკრეტებ. მათი წინადადება დღესაც ძალაშია და მთხოვეს, კონფიდენციალობა დამეცვა.

**— იმედი გაქვს, რომ ასეთი ტრავმის შემდეგ შენი ინტერესი კვლავაც ექნებათ?**

— სამთვიანი უქმობა ცოტა არ არის, მაგრამ არც ბევრია, ვისაც მართლა ვუნდივარ, საქმეს ბოლომდე მიიყვანს, ამიტომაც იმედი არ დამიკარგავს და მოუთმენლად ველი მოედანზე გასვლას.

**პაატა ქვანტალიანი**

# ბათუმი: კადრები, რომლიც გვეკადრება

*დღეს „ბათუმი" იკრიბება და ბევრი რამ გადაწყდება. უმთავრესი კი გარკვეულია, გუნდს ახალი პრეზიდენტი ჰყავს — რევაზ ჩელებაძე, რომელსაც ინვესტორთა მოძიების ეიმედება და „ბათუმის" ფეხზე დაყენება განუზრახავს. „ბათუმმა" ჩელებაძესთან ერთად ამბიცია კი შეიმატა, მაგრამ ამბიციის დაკმაყოფილებას ფულთან ერთად მობილური გუნდის შექმნაც სჭირდება. სწორედ დღეს გაირკვევა „ბათუმის" ახალწვეულთა ვინაობაც, გადაწყდება გუნდიდან წამსვლელთა საკითხიც. ამიტომაც დღეს მწვრთნელ-ფეხბურთელებს კლუბის ხელმძღვანელებიც შეხვდებიან. ამის შესახებ „ბათუმის" გენერალურმა დირექტორმა ასლან ბალაძემ გვითხრა, გუშინ რომ შევეხმიანეთ*



— ხვალ, ფაქტობრივად, ახალი გუნდი შეიქმნება, რომელსაც გარკვეული მიზნები ექნება ჩემპიონატში.

**— ვიცით, რომ გადაწყვეტილია აკაკი დევაძის „ბათუმში" გადასვლა. მის გარდა ვინ შეიმატეთ?**

— ყველაფერი ხვალ გადაწყდება. ჩვენ სერიოზული მიზნებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. საამისოდ სასურველ ფეხბურთელთა 12-კაციანი სია შევადგინეთ. ბუნებრივია, თორმეტივეს მიწვევა შეუძლებელია, ამიტომ აქედან 5-6 კაცს ავარჩევთ. მათი ვინაობა ხვალ გაცხადდება. ერთის თქმა კი შემიძლია, ვისაც ავიყვანთ, გამოცდილი, ჩამოყალიბებული ფეხბურთელები იქნებიან და უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევენ ჩვენს გუნდს.

**— ბოლო წლებია, „ბათუმი" ყოველი სეზონის წინ ახალ-ახალ გუნდს აკოწიწებს, ახლაც ასე გაგრძელდება?**

— არა, ეს მართლაც დამღუპველი პროცესი იყო ჩვენთვის. გუნდის შენარჩუნებას ვერ ვახერხებდით ფინანსური პრობლემების გამო. ახლა სხვა ვითარებაა და იმედი მაქვს, რასაც შევქმნით, იმ ბირთვს მინიმუმ სამი-ოთხი სეზონი მაინც შევინარჩუნებთ.

**— ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ძველი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელს გუნდიდან წასვლა მოუწევს...**

— რა თქმა უნდა. „ბათუმში" რამდენიმე ისეთი ფეხბურთელია, ვისაც, ფაქტობრივად, არაფერი გაუკეთებია ჩვენი გუნდისთვის წინა სეზონში. მათ სხვა კლუბის ძებნა მოუწევთ.

**— ვინ არიან ეს მოთამაშეები?**

— მათ ვინაობასაც ხვალ შეიტყობთ.

**— „ბათუმი" რა მიზნებისთვის იბრძოლებს უმაღლეს ლიგაში?**

— ჩვენ ექვსეულში შესვლა გვსურდა და მერე როგორც მოხერხდებოდა, უკეთესი ადგილზე გასვლა, მაგრამ ჩემპიონატის ფორმატი შეიცვალა და საქმეც გაგვირთულდა. დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება, რომელიმე ევროსაგზურს რომ გამოვკრათ ხელი, მაგრამ გარწმუნებთ, ბოლომდე ვიბრძოლებთ ამისთვის. ისე, ხუთეულშიც რომ მოვხვდეთ, არ იქნება ურიგო შედეგი. ჩემპიონატის ახალი ფორმატით 44 თამაშის გამართვა მოგვიწევს, ეს კი რთული და დაძაბული მარათონი იქნება. ამიტომაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ სათადარიგოთა სკამს. რაც შეიძლება გრძელი უნდა იყოს იგი, სხვაგვარად საქმე არ გამოვა. 16-17 ფეხბურთელი ყოველთვის მობილიზებული უნდა იყოს, ახალ რიტმს რომ გავუძლოთ. თანაც კონკურენციაც აუცილებელია. ამიტომაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ახალ ფეხბურთელთა დამატებას, ისინი უთუოდ შექმნიან გუნდში კონკურენციას, თანაც სათადარიგოთა სკამიც გაიზრდება, „ბათუმის" ბოლო წლების ჩავარდნის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ „მოკლე სკამი" იყო.

**— ახალი სეზონისთვის როგორ მოემზადებით?**

— შაბათ-კვირას გუნდი სამედიცინო შემოწმებას გაივლის, მერე კი ბათუმში ვივარჯიშებთ თვის ბოლომდე. ამ ხნის მანძილზე ოთხი საკონტროლო თამაშიც გვაქვს დაგეგმილი. მეტოქეებს რამდენიმე დღეში შევარჩევთ. ივლისის დამდეგს ორი კვირით ბულგარეთში გვსურს წასვლა. ეს უკვე გადაწყვეტილია. საკონტროლო თამაშებს ბულგარეთშიც გავმართავთ.

**პაატა ქვანტალიანი**

**ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)**

**ფინალი**

**სერბეთი 0:3 იტალია**

0:1 დე როსი (32), 0:2 ბოვო (84), 0:3 ჯილარდინო (85)

**სერბეთი:** მილოევიჩი, სტანჩიჩი, მიაილოვიჩი, ბასა, მილადინოვიჩი (შეზირი 83), ივანოვიჩი, დალოვიჩი (ვუკჩევიჩი 46), ბიშევაჩი, მილოვანოვიჩი (მატიჩი), ლაზოვიჩი, მარიჩი

**მწვრთნელი:** ვლადიმირ პეტროვიჩი

**იტალია:** ამელია, ბონერა (ძაკარდო 95), მორეტი, ბარძალი, ბოვო, დე როსი, მესტო, დონადელი (ბრიგი 88), პალომბო, ჯილარდინო, სკული (დელ ნერო 74)

**მწვრთნელი:** კლაუდიო ჯენტილე

**გაფრთხილება:** მიაილოვიჩი, დონადელი, დე როსი, მიაილოვიჩი, ბიშევაჩი, დელ ნერო, ბოვო, მატიჩი

**გაძევება:** მიაილოვიჩი (34), ივანოვიჩი (92)

**მსაჯი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

15 000 მაყურებელი

**მატჩი მე-3 ადგილისთვის**

**შვედეთი 2:3დდ(2:2) პორტუგალია**

1:0 ელმანდერი (45), 1:1 უგო ვიანა (76პ), 1:2 ჟ. რიბეირუ (84), 2:2 როზენბერგი (90), 2:3 კარლიტუში (114)

# პატარა იტალია დიდია



„აძურინი" ხუთგზის ევროპის ჩემპიონია — 21 წელზე უმცროსმა იტალიელებმა ფინალში სერბეთ-ჩერნიგორიას 3:0 მოუგეს.

საინტერესო ის არის, რომ ბოხუმურ ფინალში დაპირისპირებული გუნდები ბოლო ერთი წლის განმავლობაში ოთხჯერ გადაეყარნენ ერთმანეთს: იტალია და ყოფილი იუგოსლავია ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფშიც ერთად მოახვედრა წილისყრამ და პირველ ეტაპზეც. პირველ ეტაპზე ანუ სულ რაღაც ერთი კვირის წინ იტალიელებმა იუგებს 2:1 მოუგეს, მაგრამ ეს მოგება საზოგადოებამ მაინც კოჭლად მიიჩნია, რადგან თამაშის მიწურულს „აძურინის" კარში გოლი გავიდა და ისე ჩანდა, რომ ეს გოლი უნდა ჩათვლილიყო. ერთი სიტყვით, იმ B ჯგუფში სერბები მეორე ადგილზე გავიდნენ, ნახევარფინალში შვედებს შეხვდნენ და ფინალისკენ პენალტებით გაიკვლიეს გზა.

ფინალში, „აძურინის" შემადგენლობაში არ იყო დისკვალიფიცირებული ჯამპიერო პინცი, სამაგიეროდ ითამაშა გამოჯანმრთელებულმა ჯანდომენიკო მესტომ. „პარმას" ცნობილი თავდამსხმელი, ალბერტო ჯილარდინო ქუსლნატკენი გახლდათ, მას უკან კი თავისუფლად მოძრავი ფორვარდის როლში კვლავ ჯუზეპე სკული გამოჩნდა.

სერბებისა და ჩერნოგორიელების ნაკრებს დისკვალიფიცირებული ჰყავდათ ანდრია დელიბაშიჩი და ჯორჯე ჯოკიჩი, რის გამოც დაცვის დასახმარებლად მილადინოვიჩი დააბრუნეს.

შეგახსენებთ, რომ ტურნირი კლაუდიო ჯენტილეს ხალხმა ძველი იტალიური ადათის თანახმად მოკრძალებულად დაიწყო, მაგრამ თასი შვიდ შეხვედრაში ბოლო ხუთი გამარჯვებით დაიწყო. საინტერესოა ისიც, რომ ბოხუმის სტადიონს გარეთ ისეთი ავტოსაცობი გაიჭედა, რომ მანქანების დაგროვებამ და ჭყვიტინმა შეხვედრის დაწყება 15 წუთით გადასდო.

პირველი მომენტი მე-10 წუთზე სერბ მარიჩს ჰქონდა, მაგრამ მარკო ამელიამ შორიდან დარტყმული მოიგერია. ამის შემდეგ წვრილ-წვრილი მომენტები იყო, რომელთა აღწერით თავს აღარ შეგაწყენთ, თუმცა იმას გეტყვით, რომ 22-ე წუთზე ჯილარდინომ ინდივიდუალურად შექმნა მომენტი: ძალიან მახვილი კუთხიდან დაარტყა, მაგრამ მეკარე მილოჯევიჩმა მოიგერია. 30-ე წუთზე ისევ ჯილარდინომ გაამწვავა ვითარება. ის მეურვეს დაუსხლტა და ბურთი საჯარიმოდან უკან მოჭრა, მაგრამ დანიელე დე როსიმ ვერ ისარგებლა მომენტით, სერბებმა ბურთი კუთხურზე გადაუგდეს. კუთხურიდან დონადელმა ჩააწოდა, ხოლო ხსენებულმა დე როსიმ თავურის შესაძლებლობა მეტოქეთაგან მადლიერებით მიიღო და ტურნირზე თავისი მეორე გოლი შეაგდო.

ამ ამბიდან რამდენიმე წუთი რომ გავიდა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: ნიკოლა მიაილოვიჩმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და სერბ-ჩერნოგორიელთა ნაკრები ათი კაცით დატოვა მოედანზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ახალგაზრდა სერბს წითელი ბარათებისკენ მძაფრი მიდრეკილება აქვს. მაგალითად, იგი სწორედ „აძურინის" წინააღმდეგ ერთ-ერთი შესარჩევი შეხვედრის დროსაც გააგდეს მოედნიდან.

ამის შემდეგ იტალიელებმა ძალა იგრძნეს და ჯილარდინომ ორი ხეირიანი მომენტით ვერ ისარგებლა. მთლიანად, შესვენებამდე ჯენტილეს მოწაფეებს 2:0-ით გასვლა ჰმართებდათ.

შესვენებისას სერბმა და ჩერნიგორიელმა ქომაგებმა მოედანზე მაშხალები გადაყარეს და ისეთი კვამლი დააყენეს, რომ მეორე ტაიმის დაწყებაც ცოტა შეგვიანდა, მაგრამ საგანგაშო არაფერი მომხდარა და თამაშიც განახლდა — იუვებმა რიცხობრივი უმცირესობის მიუხედავად „აძურინის" უსიამოვნო წამები განაცდევინეს.

72-ე წუთზე მოედნის შუაში რატომღაც ამოქმედდა მინდვრის სარწყავი სისტემა, რომელმაც რამდენიმე ახლომახლო ფეხბურთელი გაწუწა, რასაც ჯენტილემ სკულის მაგივრად ბრეშელი სიმონე დელ ნეროს შეყვანა მიაყოლა და 79-ეზე იტალიელებს ეგონათ კიდეც, რომ ანგარიში 2:0 გახადეს, მაგრამ ვაგლახ.. დელ ნეროს გოლი მსაჯმა საეჭვო ოფსაიდის გამო არ ჩათვალა.

ნაღდი მეორე გოლი 84-ე წუთზე გავიდა. როდესაც საჯარიმოდან ისევ დელ ნეროს დარტყმული ბურთი მეკარემ ვერ შეიმაგრა, რასაც „ლეჩეს" მცველმა ჩეზარე ბოვომ ლოგიკური და მარტივი დასასრული მოუძებნა.

აი, აქ სერბია და ჩერნოგორია დანებდა, ასე რომ, ჯილარდინომ მესამე გოლი უკვე უპრობლემოდ შეაგდო. ბოლოს კი ივანოვიჩმა დელ ნეროს ისეთი მოსცხო, რომ სლავთა გუნდი ცხრა კაცით დარჩა მოედანზე.

**პაპუნა ბედია**




# ჯოვანიმ ტოტიზე გაატრაპა

რაო? ნუთუ იტალიის ნაკრებში რაიმე განხეთქილება ან გაუგებრობაა? ამჯერად რაიმეს გარკვევით თქმა ძნელია, მაგრამ ის ფაქტია, რომ „სკუადრა აძურასა" და „მილანის" ნახევარმცველმა, ჯენარო გატუზომ ჯოვანი ტრაპატონის გადაწყვეტილებებს აბსურდული უწოდა.

„აბსურდულია ის, რომ იტალიის ნაკრების სისტემა „მილანისას" ვერაფრით უტოლდება — განაცხადა გატუზომ, რომელმაც ამ ნათქვამით ორი კურდღელი მოკლა; ნაკრების სისუსტის გამო გულისწყრომა ანუ პატრიოტიზმი გამოამჟღავნა და თავისი კლუბიც შეაქო — უცნაურია, რომ ტრაპი, რომელსაც 20-წლიანი გამოცდილება აქვს, ძალიან ბანალური კატეგორიებით აზროვნებს".

ეჭვია, რომ გატუზო მის და ანდრეა პირლოს წყვილს მისტირის. მოგეხსენებათ, ამ წყვილს „მილანში" მოედნის სიღრმეში ტრიალი ევალება — გატუზო ბურთის მოსაპოვებლად იბრძვის, პირლოს კი ბრძოლის გარდა შემოქმედებითი მხარეც აქვს მისახედი, მაგრამ ნაკრების მწვრთნელმა თავის 4-2-3-1 სისტემაში „ინტერის" კრისტიანო ძანეტისა და „კიევოს" სიმონე პეროტას წყვილს მიანიჭა უპირატესობა.

„მწვრთნელი პასუხისმგებელია თავის გადაწყვეტილებებზე, კაცმა რომ თქვას, მას სწორედ ამ გადაწყვეტილებების მიღებისთვის უხდიან ხელფასს, მაგრამ მე ბოლო ორ წელიწადში დიდებულად ვითამაშე და ტექნიკაც დავხვეწე". საინტერესოა ისიც, რომ რინო, ყოველ შემთხვევაში ხმამაღლა — პირლოს სათადარიგოთა სკამზე დასმით უფრო უკმაყოფილოა, ვიდრე თავისი ამბით.

„აბსურდია პირლოს ძირითად შემადგენლობაში არყოფნაც. მისი დონის ნახევარმცველს ბევრი ქვეყანა ინატრებდა, ჩვენი სწორედ პირლოს გამო შურთ. ის, როგორც ტექნიკურად, ასევე ტაქტიკურად, საუკეთესოა — აქო გატუზომ თანაგუნდელი და საკუთარ თავსაც შეადარა — ანდრეა ბურთისთვის ჩემგან განსხვავებულად იბრძვის, მაგრამ მოედნის ხედვა ჩინებული აქვს".

თუმც მილანელი ნახევარმცველისგან განსხვავებით ჯოვანი ტრაპატონი მოვლენებს სხვანაირად აღიქვამს და მიიჩნევს, რომ სხვა ნაკრებებს იტალიელების ანდრეა პირლოს გამო კი არა, ფრანჩესკო ტოტის გამო შურთ.

„ევროპის ჩემპიონატზე ბევრი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი ითამაშებს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ფრანჩესკო ტოტი — განაცხადა „სკუადრა აძურას" მწვრთნელმა — ფრანგებს, მაგალითად, ზინედინ ზიდანი ჰყავთ, ინგლისელებს დევიდ ბექჰემი, პორტუგალიელებს რუი კოშტა, ჰოლანდიელებს რუუდ ვან ნისტელროი, ჩეხებს პაველ ნედვედი, მაგრამ ფრანჩესკო მათგან გამოირჩევა, ჩვენსა და სხვებს შორის განსხვავება სწორედ ის არის. იტალიური ფეხბურთის ისტორიაში მისი დონის, ფეხბურთელი არასდროს ყოფილა. ჩვენთვის ტოტი იგივეა, რაც ფრანგებისთვის 1984 წელს მიშელ პლატინი იყო. მისი მონაცემები საგანგებოა, მოედანს ტოტის მსგავსად მსოფლიოში ვერავინ ხედავს".

ტოტიმ კი ამასობაში თმა სხვანაირად დაივარცხნა და ნაკრების ბიჭებთან ერთად პირველი პორტუგალიური ვარჯიშებიც ჩაატარა. აღსანიშნავია, რომ ივარჯიშეს გამოჯანმრთელებულმა, სტეფანო ფიორემ და კრისტიან პანუჩიმაც.

ტრაპატონი: „ფიორე და პანუჩი თავს კარგად გრძნობენ. საერთოდაც, მთელი გუნდი ფიზიკურად და მენტალურად ბრწყინვალედ არის მომზადებული. აშკარად სწორ გზას ვადგავართ. დიდი საფეხბურთო ქვეყნები ყოველთვის ფავორიტებად მიიჩნევიან, მაგრამ მთავარი ფიზიკური მზადყოფნაა. გახსოვთ, მსოფლიოს ჩემპიონატს როგორ გამოეთიშნენ საფრანგეთი და არგენტინა?"

შემდეგ „სკუადრა აძურას" თავკაცს სატრანსფერო ჭორების მავნე გავლენაზე ჰკითხეს.

„მესმის, რომ ფეხბურთელებს საკუთარი მომავალი აინტერესებთ, მაგრამ ვფიქრობ, ამ ცნობებს თავიანთ ნერვებს და ფსიქიკურ მდგომარეობას არ დააშლევინებენ" — მიუგო ტრაპმა.

**პაპუნა ბედია**



ჯენარო გატუზომ ჯოვანი ტრაპატონის სიტყვა შეჰკადრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნამდვილი იუვენტინო

## კაპელომ ტრეზეგეს ბარსელონა გადაათქმევინა



*ნუ გაგიკვირდებათ თუ ფრანგი დავიდ ტრეზეგე მომავალ სეზონშიც შავ-თეთრ მაისურას ჩაიცვამს და „იუვენტუსის“ მეტოქეებს შეუტევს. დიახ, ბევრი ილაპარაკეს იმის თაობაზე, რომ ტრეზეგე „ბარსელონაში“ გადადის, მაგრამ მოხდა ის, რაც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი: ტრეზეგეს „ბებერი ქალბატონის“ ახალმა მწვრთნელმა, ფაბიო კაპელომ დაურეკა და მომავალზე ელაპარაკა. ერთი სიტყვით, ფრანგმა თავდამსხმელმა ტონი შეცვალა*

„ჩემი ბოლოდროინდელი ნათქვამებიდან ბევრი არასწორად გაიგეს — განაცხადა ტრეზეგემ გაზეთ „ტუტოსპორტის“ ჟურნალისტთან საუბრისას — მე „იუვენტუსის“ მაისურით თამაშის სურვილი არ გამნელებია. ფაბიო კაპელომ დამირეკა და მკითხა, ვაპირებ თუ არა კლუბთან თანამშრომლობას და ვარ თუ არა სამომავლო საქმიანობისთვის მზად. მე „იუვეში“ დარჩენის თხოვნამ ძალიან გამახარა და ვუპასუხე, რომ დარჩენა მსურს. თავს ყოველმხრივ იუვენტინოდ ვგრძნობ და, რაც შეიძლება, დიდხანს მსურს ტურინში დარჩენა“.

აი, ასეთი გახლდათ ტრეზეგეს პასუხი, თუმცა საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობენ, რომ „იუვენტუსსა“ და ტრეზეგეს შორის მაინც რჩება საკონტრაქტო პრობლემები — ფრანგი ფორვარდის ხელშეკრულებას ვადა ერთ წელიწადში გაუდის, რაც იმას ნიშნავს, რომ გაისად ამ დროს მან შეიძლება ქუდი დაიხუროს და სადაც უნდა, იქ წავიდეს ისე, რომ „იუვენტუსს“ კაპიკიც არ შეხვდება. აქედან ის გამოდის, რომ „იუვემ“ ტრეზეგესთან ან უნდა განაახლოს კონტრაქტი ან კიდევ, „იუვემ“ ტრეზეგე ახლავე, სანამ ფასი ადევს, უნდა გაყიდოს. როგორც ხედავთ, კლუბსაც და ფეხბურთელსაც თანამშრომლობა სურთ, მაგრამ ხელფასზე ვერ რიგდებიან.

ამის პარალელურად, „იუვენტუსი“ „ინტერისგან“ კრისტიან ვიერის ყიდვას ცდილობს. ბოლო ხმების თანახმად, ვიერის შეძენის მსურველთა რიგებს მადრიდის „რეალიც“ შეუერთდა, რაც მდგომარეობას, ბუნებრივია, ართულებს, მაგრამ ეს ტურინელებს სურვილს არ უნელებს.

„იუვენტუსს“ „ინტერისგან“ იტალიის ნაკრების კაპიტნის, ფაბიო კანავაროს შეძენაც სურს. თავად კანავაროს პოზიცია ასეთია: „ამ გუნდში თამაში მსოფლიოს ნებისმიერ ფეხბურთელს სურს. „იუვენტუსი“ დიადი, პრესტიჟული კლუბია. განა შეიძლება მის წინადადებაზე უარის თქმა? თან ვიცი, ფაბიო კაპელო ჩემს ოსტატობას აფასებს, მაგრამ ჩემი მომავლის განსაზღვრას მაინც „ინტერს“ ვანდობ“.

მართლაც, ტურინელთათვის სასურველ ფეხბურთელთა სიაში კანავარო მას მერე მოხვდა, რაც „ბერი ქალბატონის“ მწვრთნელად ფაბიო კაპელო დანიშნეს. ამბობენ, „იუვე“ მზადაა, 31 წლის კანავაროში ფრანგი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ლილიან ტურამი გაცვალოს და ზედ ფული დაამატოს.

ამბობენ იმასაც, რომ „იუვე“ „მესინასგან“ 27 წლის მარცხენა მცველის, ალესანდრო პარისის შეძენასაც ლამობს.

„სიამოვნებით გადავიდოდი „იუვენტუსში“, ოღონდ მხოლოდ მას მერე, რაც სერია A-ში ერთწლიან გამოცდილებას მაინც მივიღებ. სწორედ ეს გამოცდილება მიმაჩნია იმის გარანტიად, რომ „შავ-თეთრები“ ძირითად გუნდში მათამაშებენ“— თქვა მესინელმა მცველმა.

**პაპუნა ქედია**




# რომა? არასოდეს!

## სტეფანო ფიორეს კატალონიიდან დაუძახეს

„ლაციოს“ მოთამაშე, სტეფანო ფიორე ამბობს, რომ მისი გადაყვანით დაინტერესებულ კლუბებს „ბარსელონა“ შეემატა. მოგეხსენებათ, ფიორე ამჟამად იტალიის ნაკრებთან ერთად პორტუგალიაშია, სადაც ისაუბრა კიდეც ჟურნალისტებთან სატრანსფერო საკითხებზე.

„მას მერე, რაც „ბარსამ“ ინტერესი გამოხატა, არ არის გამორიცხული, სათამაშოდ ესპანეთში წავიდე“ — თქვა 29 წლის ფეხბურთელმა, რომლის გაყიდვით, ფინანსურად ცუდ მდგომარეობაში მყოფმა „ლაციომ“ შეიძლება მდგომარეობა ცოტათი მაინც გამოასწოროს. ეს თვით ფიორემაც კარგად იცის.

„ბედნიერი ვიქნები, თუ „ლაციოში“ დავრჩები. იმედი მაქვს, რომ კლუბის ფინანსურ პრობლემებს მალე მოეღება ბოლო, მაგრამ თუ გამყიდიან, ჯობს ფინანსურად მაინც წაადგეს ჩემს გუნდს. თუ იტალიაში გამყიდიან, მაშინ ეს „იუვენტუსში“, „მილანში“ ან „ინტერში“ უნდა მოხდეს, რადგან „რომაში“ არავითარ შემთხვევაში არ გადავალ, „ლაციოს“ ქომაგებს შეურაცხყოფას არ მივაყენებ“.

მოგეხსენებათ, „ბარსელონა“ აქტიურად ცდილობს მიუნხენის „ბაიერნის“ ვარსკვლავის, მიხაელ ბალაკის ყიდვასაც.

**პაპუნა ქედია**

### ნორვეგია

ტიპელიგა. X ტური

| 5007 | გერმანია-ჰოლანდია | 3,6 | 2,05 | 2,7 | 1,3 | 1,54 | 1,16 |
| 5008 | ჩეხეთი-ლატვია | 1,65 | 2,6 | 7,0 | 1 | 1,33 | 1,89 |

| | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 12 ივნისი | | | | | | | | | |
| 5101 | პორტუგალია-საბერძნეთი | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5102 | ესპანეთი-რუსეთი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| | 13 ივნისი | | | | | | | | | |
| 5103 | შვეიცარია-ხორვატია | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5104 | საფრანგეთი-ინგლისი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| | 14 ივნისი | | | | | | | | | |
| 5105 | დანია-იტალია | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,6 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5106 | შვედეთი-ბულგარეთი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| | 15 ივნისი | | | | | | | | | |
| 5107 | გერმანია-პოლანდია | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5108 | ჩეხეთი-ლატვია | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,6 | 15,0 | 25,0 | 15,0 | 15,0 |


CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

# დატვირთული უქმეების სამი თემა

## ბესო გოცაძე: შვიდკაცა რაგბი სპორტზე მეტია
## დავით ჩავლეიშვილი: ყველა ლეგიონერს ვუხმობთ
## ზაზა ლექავა: თბილისში აუცილებლად მოვიგებთ

**ქართულ რაგბის საინტერესო ორკვირეული აქვს. წუხელ თბილისში სამხრეთაფრიკული ზეგუნდი „ბლუ ბულზი" ჩამოფრინდა და დილომში დაბანაკდა. პრეტორიელი „ხარები" ქართველ მორაგბეებსა და რაგბიში მოტრიალეთ თავიანთ გამოცდილებას თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებით გაუზიარებენ, სამჯერ კი ამხანაგურადაც გაეჯიბრებიან**

ზე-12-ში ნაბურთავები გუნდის თბილისში ყოფნა ერთადერთი სარაგბო თემა როდია. შაბათ-კვირას ვაკეში რვა ევროპული ნაკრებიც შეიყრება შვიდკაცა რაგბის თბილისურ ეტაპზე სათამაშოდ. ამ ტურნირით ევროპის ჩემპიონატის სერია იხსნება. „ლოკომოტივზე" იმ სარეიტინგო ქულების დარიგება დაიწყება, მსოფლიოს პირველობაზე მოსახვედრად რომ არის აუცილებელი.

სიახლეებთან დაკავშირებით გუშინ რაგბის კავშირში პრესკონფერენცია გაიმართა. მასმედიის ინტერესი „ბლუ ბულზის" თბილისური ტურნესა და შვიდკაცას ეტაპის მენეჯერებმა — მალხაზ ნაცვლიშვილმა და ბესო გოცაძემ დააკმაყოფილეს. შვიდკაცა და თხუთხმეტკაცა ნაკრებების თავკაცებმა კი აქამდე გაწეულ თუ სამომავლოდ დაგეგმილ სამუშაოებზე ილაპარაკეს.

ჯერ შვიდკაცაზე ჩამოვარდა სიტყვა და გოცაძემაც ამომწურავი ინფორმაცია მოგვაწოდა:

„ეს ტურნირი საქართველოში მეორედ ტარდება და პოპულარობა უკვე თვალშისაცემია. წლეულს გაცილებით კარგი უნდა გამოვიდეს, როგორც ორგანიზების, ისე სანახაობრივი მხარითაც. შემოგვემატა რამდენიმე ახალი ნაკრები, მათ შორის შოტლანდია. სამწუხაროდ, ბულგარელები და შვეიცარიელები ტექნიკური პრობლემების გამო ჩამოსვლას ველარ ასწრებენ, მაგრამ ეს მაინც და მაინც დიდი დანაკლისი არც იქნება. გაიზარდა უცხოელ მსაჯთა რაოდენობაც. ამჯერად ხუთი არბიტრი ჩამოვა.

... შვიდკაცა რაგბი გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ სპორტი. სტადიონს გულგრილი ვერავინ დატოვებს. მშვენიერ თამაშებზე რომ არაფერი ვთქვათ, გასართობი ბევრი სხვაც იქნება. მატჩებს შორის მაყურებელს „ბლუზ მობილ ბენდი" და სპორტის აკადემიის ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები გაართობენ. იქნება სხვა სიურპრიზებიც. მოგეხსენებათ, სარაგბო დღესასწაული მთელ დღეს გრძელდება. ამიტომ სტადიონის გარშემო დაიდგმება ღია კაფეები, რომელშიც ნაკლებად საინტერესო თამაშის ან შესვენებების დროს შეგეძლებათ დაჯდომა.

... დიდი მადლობა ყველა სპონსორს, ვინც ფესტივალის ორგანიზებაში გვეხმარება. კარგი იქნება, თბილისის მერიაც თუ დაგვეხმარება. ტურნირს ხომ თბილისის შვიდკაცა ჰქვია. შაბათის სანახაობას აფრიკული სუპერ გუნდისა და საქართველოს კლუბების ნაკრების დაპირისპირებაც გაამრავალფეროვნებს. მთავარ ტურნირთან ერთად საკლუბო და ბავშვთა შვიდკაცებიც გათამაშდება. ასე რომ, გაატარეთ უქმეები „ლოკომოტივზე" და არ ინანებთ."

შარშანდელი თბილისური შვიდკაცა საქართველოს ნაკრებმა მოიგო. მაშინ გუნდს კლოდ სორელი წვრთნიდა. ამჯერად მწვრთნელი ძველი ბორჯღალოსანი ზაზა ლეჟავაა. გუშინ მან თავისი მუშაობა შეაჯამა და მომავალ გეგმებზეც გვითხრა:

„მსოფლიოს სერიის სამი ეტაპი მოვიარე და გუნდის თამაშით უკმაყოფილო არ დავრჩენილვარ. საუკეთესო კადრების აღმოჩენა და ბიჭების მაქსიმალურად შეთამაშება იყო. სამივე ეტაპი ევროპის სერიისთვის მოსამზადებლად გამოვიყენე. ამჟამად 16-17 სანაკრებო მოთამაშე მყავს შერჩეული. ევროპული შვიდკაცა მათ მხრებზე გადაივლის და უკვე შედეგსაც მეტ ყურადღებას მივაქცევთ. მომავალ წელს, ჰონკონგურ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად საჭირო სარეიტინგო ქულების გროვება თბილისში უნდა დავიწყოთ. „ლოკომოტივზე" აუცილებლად ვიჩემპიონებთ. სხვა შედეგი ჩვენთვის წარუმატებლობა იქნება."

ლეჟავას საშაბათკვირაო შემადგენლობაზეც დავეკითხეთ, მაგრამ ჯერ კიდევ ვფიქრობო, გვიპასუხა.

დავით ჩავლეიშვილიც დაგვპირდა, რომ რამდენიმე დღეში ნაკრების სიას გაამხელს. მისი და მალხაზ ჭეიშვილის გუნდი აფრიკელებთან თამაშის წინ 14 ივნისიდან მცხეთაში შეიკრიბება. ყველა სასურველ ლეგიონერს უხმობენ ტრავმირებულთა და პირადი პრობლემების გამო დაკავებულთა გარდა. „სეზონის ბოლოა და ზოგიერთ ჩვენებურს კონტრაქტის საკითხი აქვს მოსაგვარებელი. ეს კი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ" — გვითხრა ჩავლეიშვილმა.

მენეჯერ ნაცვლიშვილისგან კი შევიტყვეთ, რომ „ბლუ ბულზში" სამხრეთ აფრიკის ძირითადი ნაკრების 7 მოთამაშის გარდა 8 „ა" ნაკრების წევრიცაა, ხოლო ერთი ნამიბიის ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავს.



# ანდრე, ხელი გაანძრიე!

**THE STELLA ARTOIS CHAMPIONSHIPS**
**ლონდონი. ბალახი**
**საპრიზო 792 ათასი €**

**პირველი წრე**

**იან ფლანაგანი** (ბრიტანეთი) — მარკ ფილიპუსისი (9, ავსტრალია) 7:6 (7:2), 7:6 (7:3); **ვიქტორ ჰანესკუ** (რუმინეთი) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:7 (5:7), 6:4, 6:4

**მეორე წრე**

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 7:6 (7:4), 6:2; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — ანდრე აგასი (3, აშშ) 4:6, 7:6 (7:2), 7:6 (7:3); **სხენგ შალკენი** (8, ჰოლანდია) — უესლი უაიტჰაუზი (სამხრეთ აფრიკა) 7:6 (7:4), 6:3

არ იქნა და არ ეღირსა ანდრე აგასის კარიერის მე-800 გამარჯვების მოხვეჭა. შუა მარტში რომ გაიჭედა, იმის მერე ნაბიჯი ველარ გაადგა. მართალია, ბევრიც არ უთამაშია — სულ სამჯერ დამარცხდა — მაგრამ რვაგზის სლემტიტულოსანი 34 წლის აგასისთვის ესეც ბევრია. ეგებ თქვენც მოგეხსენებოდეთ, ზედიზედ სამი მატჩი განთქმულ არმენიამერიკელს 1997 წლის შემდეგ აღარ დაეთმო.

ამ ჯერზე ის წლევანდელ როლანგაროსობაზე ჩოგანგამოჩენილმა რუსმა ჭაბუკმა იგორ ანდრეევმა აოტა. ამ ანდრეევს ბალახზე აქამდე საერთოდ არ ეთამაშა და ამდენად ადვილი წარმოსადგენია, რა „მაგარ" ფორმაშიც უნდა იყოს ახლა ბებერი ანდრანიკი.

გაიმასქნდნენ უიმბლდონის შარშანდელი ფინალისტი მარკ ფილიპუსისი და ოდინდელი ჩემპიონი გორან ივანიშევიჩიც. „სკადს" სულ მთლად უსახელო უელსელმა, რეიტინგსიის 866-ე ადგილზე მდგომმა იან ფლანაგანმა აჯობა, ვისაც ამ სტელაარტუობამდე ერთი საეიტიპიო მატჩიც არ ეთამაშა. წლეულს სკადივით მოვაინაჩრე ივანიშევიჩს კი გამოცდილმა რუმინელმა ჰანესკუმ მოუგო.

რაც შეეხება ტურნირის შარშანდელ ჩემპიონ ენდი როდიკს, ტიტულის დაცვა მან სლოვაკი კუჩერას მოდრეკით დაიწყო.

**GARRY WEBER OPEN ჰალე. ბალახი საპრიზო 792 ათასი €**

**პირველი წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:3, 6:2; **რაინერ შუტლერი** (2, გერმანია) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) 6:3, 6:2; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — მარტინ ფერკერკი (4, ჰოლანდია) 7:5, 7:5; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — მარატ საფინი (5, რუსეთი) 6:2, 6:7 (3:7), 7:6 (7:4)

ამქრის ზეგარდმო პირველოსანმა როჯერ ფედერერმა თიხნარიდან ბალახზე დაუფარავი ხალისით გადაინაცვლა. საპირველწრეო მატჩშიც დარდიმანდად იმარჯვა — ავსტრალიის ღია პირველობის შარშანწინდელ ჩემპიონ ტომას იოჰანს მხოლოდ ხუთი გეიმი დაანება. თუმცა ნამატჩევს მაინც უკმაყოფილობდა და უიმბლდონამდე ჩემი არსენალი უნდა სრულვყოო, ამბობდა.

## საქართველოს თასი. ზექქვსეული


ქართული ბიბლიოთეკა

**ყოჩები 29:0 აია**

**ყოჩები:** ალიმბარაშვილი, ჭყონია (ნიჟარაძე), ჭავჭავაძე (კიკნაველიძე), ანჯაფარიძე (კორსანტია), სულთანიშვილი (ქართველიშვილი), ჩიკვაიძე, ცხადაძე, მაისურაძე, მალაღურაძე, თ. სოხაძე, ოდიშარია, ლობჟანიძე, კაჭარავა, შუბითიძე (ავლოხაშვილი), ვ. სოხაძე.

**4ლ:** ვ. სოხაძე, შუბითიძე (2), თ. სოხაძე; **3გ:** თ. სოხაძე; **1ს:** თ. სოხაძე

**აია:** კევანეიშვილი, ფრუიძე, ბარბაქაძე, ყუბანეიშვილი (გაგნიძე), ქუთათელაძე (ბალანჩივაძე), გიორგაძე, ნემსაძე (ფარულავა), გაბუნია, სორდია, შერვაშიძე (ბრეგაძე), სალდაძე (კვერნაძე), ტყაბლაძე, ზვიადაძე, ჩუბინიძე, ძაგნიძე

**მსაჯი:** ლევან გელაძე

# ყოჩები აიას დაეჯახნენ
## ვაკეში ლელოთ იწვიმა

გუშინ „ლოკომოტივის" სათადარიგო მინდორზე საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპის ერთი მატჩი გაიმართა. ერთმანეთს თბილისის „ყოჩები" და ქუთაისის „აია" დაეჯახნენ.

მსაჯმა ლევან მგელაძემ სასტარტო სასტვენი მისცა და წვიმაც წამოვიდა. მიუხედავად ცუდი ამინდისა, პირველ ტაიმში საკმაოდ სანახაობრივი თამაში გაჩაღდა. ინიციატივა თავიდანვე „ყოჩებმა" იგდეს ხელთ. თბილისელებს ძირითად ექვსეულში აქამდე ჩატარებული ორი თამაშიდან ორივე მოეგოთ, ქუთაისელებს კი პირიქით, ორჯერვე ხელი მოსცარვოდათ და ამ მატჩში ფავორიტის დადგენა სირთულეს არ წარმოადგენდა.

„ყოჩებმა" თავიდანვე შეუტიეს მეტოქეს, თუმცა პირველი ტაიმის შუამდე ქუთაისელთა დაცვა კარგად იდგა. მაგრამ დედაქალაქელებმა ნელნელა უმატეს დაწოლას და ვანო სოხაძემ პირველი ლელოც გაიტანა. დიდი ხანი არ გასულა და შუბითიძე მეორედ შეიჭრა ქუთაისელთა ჩათვლის მოედანში. ორივე გარდასახვა ზუსტად შეასრულა ვანო სოხაძის ძმამ თემურ სოხაძემ, რომელმაც მთელი თამაში კარგად ჩაატარა და მესამე ლელოს მთავარ შემოქმედად მოგვევლინა. მან ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო და მარჯვენა ფრთისაკენ გაიჭრა. გარღვევაც ამას ჰქვია — გზაში მოწინააღმდეგე გუნდის ნახევარი ჩამოიცილა სისწრაფისა და ფინტების წყალობით, დაახლოებით 40 მეტრი ირბინა და უკანასკნელ წამს ბურთი უმეთვალყურეოდ დარჩენილ შუბითიძეს გადააწოდა. მანაც გუნდელს ჯაფა დაუფარა და უპრობლემოდ დაამიწა. თემურ სოხაძემ მესამე გარდასახვაც ზუსტად შეარსულა, ამას ცოტა ხანში უნაკლო საჯარიმო დარტყმაც მოაყოლა და პირველი ტაიმი „ყოჩთა" თვალსაჩინო გამარჯვებით დასრულდა. მოედანზე ტაბლო რომ ყოფილიყო, 24:0 ანგარიშს აჩვენებდა.

მეორე ტაიმში წვიმამ იმატა და ერთი პერიოდი თავსხმად გადაიქცა. მოედანი მოედანს აღარ ჰგავდა, თამაში თამაშს. ერთიანად ტალახში ამოგანგლული მორაგბეების გარჩევაც კი გაჭირდა. მოთამაშეებს მალიმალ უცდებოდათ ფეხი, ბურთი ხელიდან უვარდებოდათ და თამაშმაც ეშხი და ლაზათი დაკარგა. აღსანიშნავი კია, რომ ქუთაისელებმა ოდნავ უმატეს დაწოლას და ბრძოლითა თუ ჯიგრით რამდენჯერმე სცადეს დამხვდურთა ჩათვლის მოედანში შეღწევა, მაგრამ თბილისელთა დაცვა მედგრად იდგა და სტუმრებთან შედარებით ნაკლებ შეცდომებსაც უშვებდა. ერთ მომენტში კი „ყოჩები" ნაღდ ლელოს გადაურჩნენ, როდესაც ქუთაისელმა უკანასკნელმა ბოლო პასის მიღება ვერ შეძლო, ბურთი უკან გადაუვარდა და ანგარიშის გაქვითვის შანსიც დაკარგა. მატჩის ბოლოსკენ კი „ყოჩებმა" შეტევებში გართულ მეტოქეს კიდევ ერთი ლელო დაუმიწეს. პირველ ტაიმში საუკეთესო თემო სოხაძემ არ აპატია „აიას" მცველებს შეცდომა და სხვაობა 29 ქულამდე გაზარდა, თუმცა გარდასახვის გატანა ველარ შეძლო და შეხვედრა „ყოჩებმა" 29:0 მოიგეს და 3 გამარჯვებით ცხრილის სათავეში მოექცნენ.

„ლოკომოტივს" რომელსაც გუშინდელ ტურამდე ასევე 2 გამარჯვება ჰქონდა, ამ შეხვედრის შემდეგ უნდა ეთამაშა „აკადემიასთან", თუმცა წვიმის გამო მოედნის საფარი ისე გაფუჭდა, რომ შეხვედრა გადაიდო.

გადაიდო ასევე „ლელოს" ჯახი ბათუმის „დათვებთან". ჯერჯერობით უცნობი მიზეზის გამო ბათუმელებს დედაქალაქისაკენ გამომგზავრება გაუჭიანურდათ.

**ლადო ფულუკიძე**

**გათამაშების ცხრილი არასრული მესამე ტურის შემდეგ**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ყოჩები | 3 | 3 | 0 | 0 | 65:14 | 6 |
| 2 | ლოკომოტივი | 2 | 2 | 0 | 0 | 68:50 | 4 |
| 3 | ლელო | 2 | 1 | 0 | 1 | 72:57 | 2 |
| 4 | აკადემია | 2 | 1 | 0 | 1 | 35:33 | 2 |
| 5 | დათვები | 2 | 0 | 0 | 2 | 22:53 | 0 |
| 6 | აია | 3 | 0 | 0 | 3 | 39:94 | 0 |

## ლეიკერსი 1:1 დეტროიტი

8 ივნისი. ლოს ანჯელესი. „სტეიპლზ სენთერი". 18997 მაყურებელი

# ესროლა ბრაიანტმა

## დეტროიტს გულში მოხვდა

**ლეიკერსი 99:91 დეტროიტი**

**18:16 26:20 30:24 23:21 10:2**

ლეიკერსი: პეიტონი (2), ბრაიანტი (33), ჯორჯი (7), მელოუნი (9), ონილი (29); უოლტონი (7), ფიშერი (7), რაში (5), მედვედენკო, კუკი

დეტროიტი: ბილაფსი (27), ჰამილტონი (26), პრინსი (5), რ. ვოლესი (11), ბ. ვოლესი (12 ქულა, 14 მოხსნა); ჰანტერი (5), კემპბელი (2), უილიამსონი (2), ოქური (1), ჯეიმსი



კობი ბრაიანტს დიდი ბურთების ჩაგდების უნარი ალბათ არასდროს მოუცვდება

REUTERS ლოს ანჯელესიდან

კობი ბრაიანტის ერთმა სროლამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. „დეტროიტ პისტონზს" თითქოს ჯიბეში ჩაუყვეს ხელი და გამარჯვება ამოაცალესო. „პისტონზმა" ამ ერთი, თითქმის მოგებული და შემდეგ წაგებული თამაშის გამო იქნებ ჩემპიონობა დაკარგოს. არადა, ლოს ანჯელესში „ლეიკერსი" მეორედაც რომ დაემარცხებინა, სერიაში 2:0 დაწინაურდებოდა და რაც მთავარია, მომდევნო სამ თამაშს დეტროიტში მშვენიერ გუნებაზე უმასპინძლებდა. „ლეიკერსისთანა" მრავალნაცად და მრავალღონე გუნდსაც გაუჭირდებოდა ამ ფსიქოლოგიური ხაროდან თავის ამოთრევა. ისტორიასაც არ ახსოვს შემთხვევა, ფინალის სერიაში გუნდს შინ პირველი ორი თამაშის წაგების შემდეგ მეტოქისთვის სადავეები წაერთმიოს და ჩემპიონი გამხდარიყოს.

სულ ერთმა სროლამ ამხელა საქმეები დაატრიალა. „დეტროიტისთვის" ეს ნამდვილი შოკი იყო, მომნუსხველი და დამთრგუნველი. სტუმრები ხომ მატჩის დამთავრებამდე ნახევარი წუთით ადრე ექვს ქულას იგებდნენ...

მაგრამ მატჩის ასე და ასე უცებ დამთავრება არ ინება 25 წლის ბიჭმა, რომელმაც მეოთხედ საუკუნეში ძალიან ბევრი მოასწრო, ბევრად მეტი, ვიდრე მისმა ბევრმა თანაგუნდელებმა, რომელთა გვარებსაც შეგნებულად არ დავასახელებთ, უბრალოდ არ იმსახურებენ და ამიტომ. თქვენ წარმოიდგინეთ, ამათ თანამედროვე მაიკლ ჯორდანზე მეტიც კი მოასწრო. ბრაიანტის ჯორდანს გვერდში ვერ ამოვუყენებთ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — მისმა უპაეროვნესობამ პირველი ტიტული 28 წლისამ მოიპოვა, კობი კი იმ ასაკში სამგზის ჩემპიონია, რომელშიც ჯორდანს იმ „კაციჭამიების" ეპოქაში არაფრად აგდებდნენ და ზოგი „ბურთის ღორსაც" კი ეძახდა.

„შესაძლოა", ეს იყო უმნიშვნელოვანესი სროლა ჩემს კარიერაში. მეორე ადგილზე დავაყენებდი ფილადელფიაში სკოლაში თამაშისას რიპ ჰამილტონის წინააღმდეგ ჩაგდებულს" — ბრაიანტს შემთხვევით არ უხსენებია ჰამილტონი. ოდესღაც ისინი თურმე პენსილვანიის შტატის სკოლათა ჩემპიონატში ერთმანეთის წინააღმდეგ თამაშობდნენ და ეტყობა, კობის ჰამილტონისთვის გამარჯვების ბურთი მაშინაც ჩაუგდია.

ჰამილტონი ახლაც მის წინაშე იდგა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა ვარსკვლავბიჭუნას... „ლეიკერსი" მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე 30-იოდ წამით ადრე 6 ქულით აგებდა, როცა შაკილ ონილმა ორქულიანიც ჩააგდო და მისი მომყოლი ერთქულიანიც. იმ დღეს შაკი კობიზე უკეთესადაც კი თამაშობდა. შემდეგ შეტევაში კი დაუბრუნდა ბურთი „დეტროიტს", მაგრამ სტუმრები ვერ მოუფრთხილდნენ, მთელი საღამო მშვენივრად მოთამაშე ჩონსი ბილაფსმა მაინცდამაინც ეს სროლა გააფუჭა და „ლეიკერსს" 3 ქულის „ამოსაღებად" 10 წამი დაუტოვა. კობი ბრაიანტმა იმყოფინა ეს დრო, ბურთი, რა თქმა უნდა, პერიმეტრს გარეთ მიიღო, რამდენიმე წამი გაიყვანა და სამქულიანის სროლაც მოახერხა. ჰამილტონმა ხეირიანადაც ვერ შეუშალა ხელი.

ბურთი, რა თქმა უნდა, ჩავარდა.

„დეტროიტს" არაფრის თავი აღარ ჰქონდა ოვერტაიმში. სტუმართა ის სანაქებო დაცვა, რომელიც მთელი თამაში აწვალებდა „ლეიკერსს", ცხვრის ფარასავით გაფანტულიყო. მასპინძლები კი ყოველ შეტევას ორი ქულის შემატებით ამთავრებდნენ და დამატებით ხუთწუთეულში მეტოქე 10:2 შემუსრეს. „პისტონზის" საოვერტაიმო 2 ქულა ნბა-ს ფინალების ყველა დროის ანტირეკორდია.

ახლა კი ყველაფერი თავიდან იწყება, მაშინ როცა შეიძლებოდა, ეს მატჩი დასასრულის დასაწყისად ჩათვლილიყო. „დეტროიტს" ჰქონდა ყველაფერი და დარჩა თითქმის არაფერი. მოედნის უპირატესობაც სიმბოლურია, ასეთი თამაშის წაგების შემდეგ აზრზე მოსასვლელად შინაური კედლებიც და ყველაზე მხურვალე ქომაგობაც ძალზე სუსტი საშუალებებია.

**კოტე ყორშია**

## დღის ფრაზა

*კითხვებით თავგაბეზრებული შაკილ ონილი ჟურნალისტებს:*

„დავიღალე იმიტომ, რომ წუხელ 200 საძილე აბი მივიღე... ვერ გავიგე, რა შეკითხვაა! რა ჯანდაბაა! რა თქმა უნდა, დავიღალე, თქვენგან დავიღალე."

*ისევ შაკილ ონილი, თანაგუნდელ ლუკ უოლტონზე:*

„გაოცებას ვარ, ლუკი სულ იოლად ახერხებდა ჩემთვის პასის მოწოდებას, და ის ბიჭები, რომლებთან ერთადაც ოთხი, ხუთი, ექვსი წელი ვთამაშობ, პასს ვერ მაძლევენ."



ვაუ, ვაუ, ვაუ... შაკი ამბობს...

REUTERS ლოს ანჯელესიდან

## ნამატჩევს

**ფილ ჯექსონი, „ლეიკერსის" მთავარი მწვრთნელი:**

— *ყველაფერი, რაც ძირითადი დროის ბოლოს მოხდა, წინასწარგანზრახული იყო, თუ სპონტანური?*

— ყველაფერი წინასწარ დავგეგმეთ: მთელი აქცენტი კობის სროლაზე გადავიტანეთ, მან აიღო საკუთარ თავზე თამაშის ბედის გადაწყვეტა და დიდებული სამქულიანიც ჩააგდო. ერთ ვარიანტსაც განვიხილავდით: სწრაფი ორქულიანი ჩაგვეგდო და უმალ ტაქტიკური ჯარიმა აგვეღო, მაგრამ ამის გაკეთება იმიტომ გადავიფიქრეთ, რომ წუთშესვენებათა ლიმიტი ამოწურული გვქონდა, ახალ შეტევას კი საგანგებო მომზადება უნდოდა.

— *რით ახსნით ლუკ უოლტონის ჩინებულ თამაშს და რატომ გადაწყვიტეთ წინა მატჩში უთამაშებელი კალათბურთელის მოედანზე გაყვანა?*

— ეგებ ეს ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო ამ საღამოს. მე მჭირდებოდა კაცი, რომელიც ბურთს დაიჭერდა, უოლტონმა კი პასებიც ჩამოარიგა და ჩააგდო კიდეც. ის მატჩის გმირია.

— *კობი ბოლო წუთებში ცოტა არადამაჯერებლად ირჯებოდა, სამიანიც აცილა და საჯარიმოც, თუმც გადამწყვეტი სროლა მაინც ანდეთ...*

— ჩვენ ყოველთვის გვჯერა, რომ ბრაიანტს სასწაულების მოხდენა შეუძლია. მას მაშინაც კი ძალუძს, ჩაიდინოს ჯადოქრობა, როცა მთელი თამაში არაფერი გაუკეთებია. მყარი ხასიათისა და მტკიცე ნერვების სუპერვასკვლავია და რომც ვერ ჩაეგდო ის სამიანი, მაინც მართალი ვიქნებოდი საკუთარ თავთან.

**კობი ბრაიანტი, „ლეიკერსის" სული და გული:**

— *არ გაგიკვირდა, რიპ ჰამილტონმა ნებაზე რომ მოგიშვა გადამწყვეტი სროლისას?*

— ვგრძნობდი, რომ რიპი მთელი მონდომებით მეთამაშებოდა, მზღუდავდა, ცდილობდა შევეჩერებინე. მან იცოდა, რომ მე სამქულიანის სროლა მინდოდა და რაც შეეძლო, გააკეთა. მე კი უკან დავიხიე, ავხტი და ჩავაგდე, ეს იყო და ეს.

— *რას ფიქრობ, რატომ არ დაჯარიმდა შენზე ჰამილტონი და რა ადგილს მიაკუთვნებ ამ სროლას შენს სუპერსროლათა ნუსხაში?*

— იცოდა, მეც ამის მოლოდინში ვიყავი. ბურთს რომ ვათამაშებდი, ცალი თვალით რიპს ვაკონტროლებდი, საცაა მომახტება-მეთქი და სასროლად მზად ვიყავი. ეს რომ გაეკეთებინა, ეგებ ის სამიანიც ჩამეგდო თავისი ჯარიმით და ოვერტაიმი აღარც დაგვჭირვებოდა. ეს სამიანი კი ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩემს კარიერაში, თუ არ ჩავთვლი იმავე ჰამილტონისთვის სკოლის დროს ჩაგდებულ სამქულიანს.

**ლარი ბრაუნი, „დეტროიტის" მთავარი მწვრთნელი:**

— *რატომ არ დაავალეთ ჰამილტონს, ბრაიანტზე დაჯარიმებულიყო?*

— კობისთვის რაც გინდა გვექნა, მაინც ისროდა და რომ ჩაეგდო, საჯარიმო სროლით ბოლოს მოგვიღებდა. ბოლო მან ისედაც მოგვიღო, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო შაკის ჯარიმის თანხლებით ჩაგდებული 2-ქულიანი ნახევარი წუთით ადრე, როცა ანგარიში 3 ქულამდე შემცირდა.

— *თქვენ ყოველთვის ცდილობთ, გაამხნევოთ შეგირდები. რა უთხარით მათ ამჯერად გასახდელში?*

— ეს იყო საშინელი და ფსიქოლოგიურად გამანადგურებელი მარცხი, მაგრამ ამით ჯერ არაფერი დამთავრებულა. ჩვენ წავაგეთ „ნიუ ჯერსისთან" სამმაგ ოვერტაიმში, მაგრამ შემდეგ ორჯერ მიჯრით მოვიგეთ. სწორედ ეს მატჩი გავახსენე ბიჭებს, რომლებიც გულგატეხილები კი იყვნენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მომავალი მატჩისთვის ყველაფერი დაავიწყდებათ.

# შვიდი წელი შენატრებოდ

## მაისას ივნისში გამოცდიან



*შვიდწლიანი პაუზის შემდეგ ეროვნულ ნაკრებს ვერცხლისწყალივით მოუსვენარი და სწრაფი უკანახაზელი ირაკლი მაისურაძე უბრუნდება. ჯერ არავინ იცის, მოხვდება თუ არა ის დრაჟენ ბრაიკოვიჩის 12 რჩეულში, თუმცა ამის შანსი ხორვატმა მწვრთნელმა მაისურაძეს უკვე მისცა, როცა ნაკრების 24 კანდიდატში დაასახელა. „მაისას" აქამდეც უთამაშია ნაკრებში და არცთუ ურიგოდ, თუმცა შემდეგ მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და 3 წელი ბურთს არ გაჰკარებია. ახლა კი მას კვლავ გაუჩნდა შანსი და ჩვენც შევეხმიანეთ, შთაბეჭდილებას გაგვიზიარებსო... მაგრამ „მაისას" არც კი სცოდნია, რომ ის ნაკრების კანდიდატია და*

— ნაკრებში დაბრუნება ალბათ ძალიან გაგახარებდა...

— რა ნაკრებში, მე არაფერი ვიცი, არავის დაურეკავს...

— დრაჟენ ბრაიკოვიჩმა ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში შეგიყვანა, რომელიც 25 ივნისს უნდა შეიკრიბოს.

— პირველად მესმის და დიდი მადლობა, რომ ასეთი კარგი ამბავი მაცნობეთ.

— ახლა ხომ უკვე იცი, რომ ნაკრების კანდიდატი ხარ...

— ვიცი და ძალიან გამიხარდა. თუმცა ვფიქრობ, რომ ჯერნაადრევია სიხარული და ზეიმი, მთავარი საქმე ძირითადში მოხვედრაა, რისთვისაც ძალიან დიდი შრომაა საჭირო. ნაკრებში თამაში ბევრი კალათბურთელის ოცნებაა, რაც უდიდესი მონდომების, ვარჯიშის, ნერვების სიმტკიცის ხარჯზე მიიღწევა. ძირითადში რომ მოვხვდე, ბევრმა ფაქტორმა უნდა შემიწყოს ხელი. აქ გამართლებაც უდიდეს როლს თამაშობს, არათუ ფიზიკური მზადყოფნა.

— შენ ადრეც გითამაშია ეროვნულ გუნდში, რაც ახლა თავისებური სტიმულია...

— ეგ საკმაოდ ადრე იყო, 1997 წელს, ლევან მოსეშვილის ნაკრებში ვთამაშობდი. იმ დროს გახსენება მართლაც მსიამოვნებს, იტალიისა და ლატვიის წინააღმდეგ ვითამაშე და პირველს 17, მეორეს კი 14 ქულა ჩავუგდე. ისრაელშიც ვიყავი ბესიკ ლიპარტელიანის მწვრთნელობისას, მაგრამ არ მითამაშია. შემდეგ მუხლის ტრავმა მივიღე და 3 წლით ჩამოვშორდი კალათბურთს.

— ახლა ალბათ საბოლოოდ აღიდგინე ფორმა...

— ჩემი აზრით, წლეულს ძალიან ცუდი სეზონი მქონდა. ტრავმა კი ალვიდგინე, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო იმდენად სარგებლიანი არ ვყოფილვარ, როგორც ადრე. საქმე ის გახლავთ, რომ თსუ-ს არ ჰქონდა სრულყოფილი პირობები, სათანადოდ ვერ ვემზადებოდით, გუნდური თამაში მთელ სეზონში მხოლოდ 3 მატჩში ვითამაშეთ. კარგი სპორტსმენი დღეში მინიმუმ 2-ჯერ უნდა ვარჯიშობდეს, დილით ფიზიკურად და საღამოს ტაქტიკურად. ჩვენ კი ამას ვერ ვახერხებთ. თან ასაკიც მომემატა, უკვე 28 წლისა ვარ და გინდა, არ გინდა, მოედნის გარე პრობლემებიც მაწუხებდა. ვფიქრობ, რომ ჩემი შესაძლებლობების ნახევარზე ოდნავ მეტი წარმოვაჩინე ამ სეზონში.

— ბრაიკოვიჩმა შენ როგორც მსროლელი, „2 ნომრად" გამოგიძახა ნაკრებში. არადა, ბევრი გამთამაშებლად გიცნობს.

— ხშირად ვყოფილვარ გამთამაშებელი — „ბასკოში", უკრაინულ და გერმანულ გუნდებში, თუმც ორ ნომრად თამაში უფრო მიყვარს. პასების კეთებას შეტევა მირჩევნია.

— შენს მთავარ პლიუსად რას მიიჩნევ?

— საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს. რა ვიცი, ალბათ სისწრაფე და სროლა.

— განვლილ სეზონში შენი საუკეთესო მატჩი...

— „სტუ-ჯეოსელთან" მეორე წრეში. 8 სამქულიანი ჩავაგდე და საერთოდაც, ალბათ კარგად ვითამაშე. კალათბურთში ასეა: მთავარია, მატჩის დასაწყისი და დასასრული ითამაშო კარგად, შუალედის ჩაგდება შეიძლება. სტუ-სთან მთელი თამაში არ მოვდუნებულვარ.

— უკანა ხაზში ვის ისურვებდი მეწყვილედ?

— ვინც მე მასწავლა კალათბურთი და ვისაც საქართველოს ყველა დროის საუკეთესო გამთამაშებლად მივიჩნევ. ის აღარ თამაშობს, გელა დარსაძისგან ბევრი რამ მისწავლია. ისე კი, დავით თორთლაძესთან თამაში მიყვარს.

— თორთლაძე ბრაიკოვიჩმა არ დაასახელა ნაკრების კანდიდატთა შორის...

— სამწუხაროა. დავით თორთლაძეს ერთი შეხედვით ყველა მონაცემი აქვს, მაგრამ ბოლომდე რატომ არ გამოსდის თამაში, ვერ გამიგია. „თორთლას" ცოტა რთული ხასიათი აქვს და მწვრთნელებთან კონფლიქტებიც ხშირად მოსდის. მის შემდეგ არჩილ ჟღენტს ვისურვებდი პარტნიორად, არც გიორგი ნიკოლაძესთან უნდა გამიჭირდეს. ორივესთან თავის დროზე საკმაოდ ნაყოფიერად მითამაშია.

— ახლა რას საქმიანობ? 25 ივნისისთვის ხომ მზადყოფნაში იყო, ალბათ ვარჯიშს შეუდგები...

— თითქოს გულმა მიგრძნო, ბრაიკოვიჩი რომ ნაკრებში დამიძახებდა და 10 დღის წინ დავიწყე ვარჯიში. ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა, ისე კი, მართლაც მე-10 დღეა, მთელი მონდომებით ვვარჯიშობ. უკვე კარგა ხანია, მე ჩემი მწვრთნელი მყავს, ლექსო ბურნაძე, რომელიც ძალიან ბევრ რამეში მეხმარება. ის ფიზმომზადების მწვრთნელია, მაგრამ ბატონი ლექსო ჩემი ფსიქოლოგიცაა, ექიმიც და საერთოდ, ამ კაცთან რომ ვარ, თითქმის ყველა პრობლემა მეხსნება. გასულ სეზონში ლექსო ბურნაძესთან არ მივლია და იმიტომაც გამიჭირდა თსუ-ში, ახლა, იმედია, ყველაფერი დალაგდება.

**ირაკლი პერტაია**





„ტამპა ბეის" მთავარი გმირი ჯო ტონტორელა

*2004 წლის პლეი ოფმა ნჰლ-ს ახალი ჩემპიონი შესძინა. ამიერიდან სეზონის დასრულებამდე სტენლის თასი აშშ-ს სამხრეთში, ფლორიდის შტატის ქალაქ ტამპაში დაიდებს ბინას. დღევანდელმა ჩემპიონმა გზიდან ჩამოიცილა ურჩუკი „აილენდერსი", ლეგენდარული „მონრეალი", მრისხანე „ფილადელფია", ბოლოს კი შეუპოვარი „კალგარიც" დააჩოქა და დაგვიმტკიცა, რომ დღევანდელ ჰოკეიში ფული ყველაფერს არ წყვეტს. დიახ, „ელვებს" არა აქვთ „რეინჯერსივით" ღრმა ჯიბე, ვერც ასეთი ვარსკვლავებით მოიწონებს თავს, „დეტროიტისა" და „კოლორადოს" რომ ჰყავთ, მაგრამ ესაა გუნდი ვარსკვლავი, უაღრესად ტექნიკური, მაგრამ არცთუ გამჭრიახი ვენსან ლეკავალიეთი დაწყებული, უბერებელი დეივ ანდრეიჩუკით დამთავრებული, რომელთაც სჯეროდათ, რომ ბრწყინვალედ დაასრულებდნენ თავიანთ საქმეს*

# კონკიას ზღაპარი სამხრეთულად

## ტამპა ბეიმ ბევრი იწვალა თუ ცოტა...

**ღმერთმა უწყის,** რამ მოაფიქრა წარსულში ლეგენდარულ ჰოკეისტ ფილ ესპოზიტოს 90-იანების დასაწყისში საკურორტო ადგილებითა და პლაჟებით ცნობილ ფლორიდაში ჰოკეის გუნდის ჩამოყალიბება. ეს ხომ ამ ქალაქისთვის უცხო ხილი იყო, აქ ყველა თავს ბეისბოლითა და კალათბურთით იქცევდა. თუმც ესპოზიტო ისეთი შეუპოვრობით შეუდგა საქმეს, როგორც ყინულზე თამაშობდა და სარეკორდო ვადებში ახალი დარბაზიც აშენდა და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც შეიქმნა.

1991 წლის 20 დეკემბერს „ტამპა" ოფიციალურად გახდა ნჰლ-ის წევრი, ხოლო მომდევნო წლის 5 ოქტომბერს გუნდის დებიუტიც შედგა. პირველი მატჩი იღბლიანი გამოდგა — „ელვებმა" თასის ფინალისტი „ჩიკაგო" 7:3 დაამარცხეს, მაგრამ მერე ამ გამარჯვებას 12-მატჩიანი წაგებების სერია მოაყოლეს და... წლების განმავლობაში „ტამპა" დავიწყებას მიეცა. არა, „ელვები" კვლავაც ასპარეზობდნენ. ეგზოტიკური სანახაობით და რეკლამით მოხიბლული სამხრეთელები და დამსვენებლები სიამოვნებით ერთობოდნენ ჰოკეით, მაგრამ უფრო წინ ვერ წავიდნენ. სამი ულიმღამო სეზონის შემდეგ, 1995-96 წლებში „ელვები" პლეი ოფში პირველად გავიდნენ, მაგრამ, როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა, ეს შემთხვევითობა იყო — „ტამპამ" კიდევ 6 წელიწადს ატარა აუტსაიდერის წოდება. ბოლოს ესპოზიტოსაც უმტყუნა ნერვებმა და გუნდი ვინმე ჯეი ფიმსტერს მიჰყიდა. ამის მერე „ტამპამ" ნელ-ნელა იწყო ჭაობიდან ამოსვლა. 2001 წელს გუნდში ჯონ ტორტორელა მივიდა. ახალმა თავკაცმა ახალი იდეები მიიტანა. მისი მთავარი არსი ის იყო, რომ გუნდს სტაბილური შემადგენლობა ჰყოლოდა და კომბინაციური ჰოკეი ეთამაშა. სწორედ ამ სეზონში დაიწყო ამ გუნდში პლეი ოფის უძვირფასეს ბრედ რიჩარდსის კარიერა. „ელვებს" მარტენ სან ლუი და ნიკოლაი ხაბიბულინიც შეემატნენ. რუსი მაშინ უკვე ცნობილი იყო ლიგაში. მან ახალ გუნდში კარიერა კონფლიქტით დაიწყო. დავა თანხას ეხებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ „ბერლინის კედელმა" იმ სეზონში მხოლოდ ორი მატჩი ჩაატარა. ეგებ ამიტომაც ის სეზონი „ელვებმა" ისევ ჩააფლავეს, მაგრამ უკვე მომდევნოში მათ 10 ქულით მეტი მოაგროვეს. სხვათა შორის, იმ ჩემპიონატიდან დღემდე გუნდში 19(!) მოთამაშე შემორჩა, რაც ნათლად ადასტურებს მწვრთნელის თეზისს სტაბილურობაზე.

2002-03 წლების ჩემპიონატში „ელვებმა" აშკარა პროგრესი განიცადეს — +24 ქულა, პირველი ადგილი თავის დივიზიონში და პლეი ოფში მეორედ გასვლა. „ელვები" მეორე რაუნდში მომავალ ჩემპიონ „ნიუ ჯერსისთან" დამარცხდნენ. თუმც ყველამ აღნიშნა, რომ ნჰლ-ში კიდევ ერთი თავისი ხელწერის მქონე და საკმაოდ იმედისმომცემი გუნდი გაჩნდა, რომელიც თვალსასეირო თამაშს აჩვენებს.

ამ სეზონის წინ ყველა ელოდა, რომ გუნდში ახალი მოთამაშეები მივიდოდნენ ზოგიერთი სუსტი რგოლის გასაძლიერებლად, მაგრამ მენეჯერმა და ტორტორელამ სხვაგვარად განსაჯეს — ზაფხულში კლუბმა ერთი ჰოკეისტიც არ შეიმატა. მეტიც, მთელი სეზონის განმავლობაში „ელვებმა" მხოლოდ ერთი გაცვლა განახორციელეს, როცა პერსპექტიული ალექსანდრ სვიტოვის ნაცვლად გამოცდილი მცველი დერილ სიდორი მიიწვიეს. ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ ტორტორელა ჩემპიონატის მსვლელობისას შემტევ სამეულებსა და დაცვით წყვილებში არ ახდენდა არავითარ გადაადგილებას. მაგალითად, ვენსან ლეკავალიემ, მარტენ სან ლუიმ და რუსლან ფედოტენკომ მთელი სეზონი ერთ სამეულში გაატარეს. იგივე ითქმის სხვებზეც, რაც ნჰლ-ში არნახული პრაქტიკაა და უფრო საბჭოთა დროს გვახსენებს, თუმც ეს სქემა უაღრესად ეფექტური გამოდგა. შეჩვეული პარტნიორები ყინულზე სულ უფრო და უფრო კარგად უგებდნენ ერთმანეთს, რის შედეგადაც „ტამპამ" სეზონის მეორე ნახევარში საგრძნობლად მოუმატა და აღმოსავლეთის პირველ გუნდად იქცა. მიუხედავად ამისა, პლეი ოფის წინ „ტამპას" ფავორიტად არავინ აღიქვამდა. ამას თავის მიზეზები ჰქონდა, თუნდაც გუნდის გამოუცდელობა და ერთობ ტექნიკური სათამაშო სტილი. როცა „ტამპამ" მიყოლებით ჩამოიცილა კონკურენტები და ფინალსაც უწია, მაინც არ ჩათვალეს ფავორიტად და ეს მაშინ, როცა ჩემპიონატის მე-2 გუნდი მე-12 ადგილზე გასულ „კალგარის" ხვდებოდა.

ვფიქრობთ, „ელვებისთვის" გადამწყვეტი გახდა „ფილადელფიასთან" ნახევარფინალური სერია, რომელშიც გუნდმა არა მარტო ოსტატობა, არამედ ვაჟკაცობა და სიმტკიცეც გამოამჟღავნა და ფიზიკურად ძლიერ მეტოქეს არაფერი დაუთმო.

ფინალში ბრძოლა კიდევ უფრო მძიმე გამოდგა, მაგრამ საბოლოოდ ტამპელთა ლიდერების კლასმა გადაწყვიტა სერიის ბედი.

ასე იქცა 4 სეზონში აუტსაიდერი გუნდი თასის მფლობელიც და, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ამ გუნდს ყველა წინაპირობა აქვს იმისთვის, რომ დინასტია შექმნას და მომდევნო რამდენიმე წელიწადს ტახტი არავის დაუთმოს. მთავარი არგუმენტი კი ასეთია — „ტამპას" საუკეთესო თამაში ჯერ არ უჩვენებია.

**სამველ ღარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქოლგა



REUTERS ლონდონიდან

უიმბლდონის შარშანდელი ფინალისტი მარკ ფილიპუსისი სტელა არტუას ტურნირიდან სულ მთლად უსახელო ბრიტანელ იან ფლანაგანს გამოებუნძულებინა 6:7, 6:7. მისი აწურებული ჯიგარი ვერც ამ ქოლგამ დააცხრო. ვინძლო, მექოლგე უფრო დაუცხრობდა.



REUTERS ლისაბონიდან

## სიტუაციათა ოთახი

ამ ოთახს „სიტუაციათა ოთახი" ჰქვია — საფეხბურთო ევროჩემპიონატისას ოთახი უსაფრთხოების ერთგვარი ცენტრი იქნება, საიდანაც ეს თითგაშვერილი ბიძა და მისი კოლეგები საფეხბურთო დიდამბავში ჩართულ რვავე ქალაქსა და ათსავე სტადიონს მისხალ-მისხალ გააკონტროლებენ. ეს ფოტო იმ დღეს ჩატარებული რეპეტიციისას გადაუღიათ, თავად ოთახი კი ლისაბონშია.




REUTERS პეკინიდან

## ჯერაც ჩინეთში

ჯერაც ჩინეთს სერავს ოლიმპიური ცეცხლი. ფოტოებზე ხედავთ, თუ როგორ მიარბენინებენ ალმოდებულ ჩირაღდანს პეკინში მაო ძე დუნის პორტრეტთან და ტიანანმენის მოედნისაკენ, რომლის იქითაც ზაფხულის სასახლედ წოდებული შენობა გამოსჩანს. ამ 55-კილომეტრიან ესტაფეტაში 148 მემაშხლეს უმონაწილევია.




REUTERS ბოსტონიდან



REUTERS პეკინიდან

## მერეკორდე

მიშელ დეჟოიომ თავის „ტრანზატით" ჩრდილოატლანტიკის გადაკვეთას რვა დღე, რვა საათი, 29 წუთი და 55 წამი მოანდომა. აქამომდელი რეკორდი ეკუთვნოდა ფრენსის ჯოიონს, ვინაც ეგევე მანძილი დაფარა 9 დღესა და 23 საათში.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge